



MES 4 21 0000594800



18/06/2021

## საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 04.06.2021

სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 23:55სთ

სხდომის თავმჯდომარე: ნიკა თიკანაშვილი ( I, II, III, IV),

სხდომის თავმჯდომარე: ნინო იმნაძე ( V, VI)

საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია (I, II, III, IV),

სხდომის მდივანი: მაკა კაჭარავა ( V, VI)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/წ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:**

1. **ნინო იმნაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
2. **მარიამ შენგელია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
3. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;

4. **ელენე ჟურავლოვა** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
6. **ანზორ ბერიძე** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
7. **გაიოზ ფარცხალაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
8. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
9. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
10. **გიორგი დაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
12. **დიანა მჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
14. **თამარ ჩხეიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
15. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
16. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
17. **ნინო ინასარიძე** - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.
18. **ანა ფირცხალაშვილი** - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;

### სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ნინო სარჯველაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	ანი ბილანიშვილი	

	<p>უმაღლესი განათლების ხარისხის          უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი          სპეციალისტი</p>
--	---

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები**

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	დავით მახვილაძე	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I, II, III, IV
2	ზურაბ გვიშიანი		სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი	I, II, III
3	მარინა ჯავახიშვილი		სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I, II, III
4	თინათინ დათიაშვილი		სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	I, II, III
5	თამაზ ხმელიძე		მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის "მშენებლობა" ხელმძღვანელი	I, II, III
6	დავით გორგიძე		დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის "მშენებლობა" ხელმძღვანელი	I, II, III
7	მანანა მოისწრაფიშვილი		პროფესორი	I, II, III
8	მამული გრძელიშვილი		პროფესორი	I, II, III
9	ნანული დანელია		ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	I, II, III, IV
10	ნუგზარ წერეთელი		სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV
11	მაია მშვილდაძე		სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	IV
12	მამუკა მაისურაძე		სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის	IV

			ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
13	მაია ცინცაძე		სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის უფროსი	IV
14	ზურაბ გელიაშვილი		მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ქიმია“ ხელმძღვანელი	IV
		<b>თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი</b>		
15	რამაზ ხომერიკი		ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	V, VI
16	გიორგი ღვედაშვილი		პროფესორი	V, VI
17	რომან ჯობავა		პროფესორი	V, VI
18	დავით კაკულია		პროფესორი	V, VI
19	თამარ ჭელიძე		ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V, VI
20	ირმა გრძელიძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V, VI
<b>N</b>	<b>სახელი, გვარი</b>	<b>საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება</b>	<b>სტატუსი</b>	<b>საკითხი</b>
1	დავით მახვილაძე	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I, II, III, IV
2	ზურაბ გვიშიანი		სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი	I, II, III
3	მარინა ჯავახიშვილი		სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I, II, III
4	თინათინ დათიაშვილი		სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	I, II, III
5	თამაზ ხმელიძე			I, II, III

			მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის "მშენებლობა" ხელმძღვანელი	
6	დავით გორგიძე		დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის "მშენებლობა" ხელმძღვანელი	I, II, III
7	მანანა მოისწრაფიშვილი		პროფესორი	I, II, III
8	მამული გრძელიშვილი		პროფესორი	I, II, III
9	ნანული დანელია		ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	I, II, III, IV
10	ნუგზარ წერეთელი		სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV
11	მაია მშვილდაძე		სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	IV
12	მამუკა მაისურაძე		სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV
13	მაია ცინცაძე		სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის უფროსი	IV
14	ზურაბ გელიაშვილი		მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ქიმია“ ხელმძღვანელი	IV
		<b>თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი</b>		
15	რამაზ ხომერიკი		ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	V, VI
16	გიორგი ღვედაშვილი		პროფესორი	V, VI
17	რომან ჯობავა		პროფესორი	V, VI
18	დავით კაკულია		პროფესორი	V, VI
19	თამარ ჭელიძე		ზუსტ და საბუნებისმეტყველო	V, VI

			მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
20	ირმა გრძელიძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V, VI

**აკრედიტაციის ექსპერტები**

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	მერაბ ბარათაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II, III
2	ზურაბ მეგრელიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II, III
3	ირაკლი ნოდია	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II, III
4	პაატა გერაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II, III
5	ინგა ბოჭორიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
6	გიორგი ტიტვინიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
7	ზურაბ ნაცვლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
8	ლანა ბოკუჩავა	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
9	თამაზ ბიჭიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V, VI
10	ავთანდილ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V, VI
11	შავლვა კვიციანი	(ჩაერთო „ზუმით“)	V, VI
12	თამარ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V, VI

აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს წევრმა ნიკა თიკანაშვილმა.

ხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

**სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

- 1) სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - "მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
- 2) სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - "მშენებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
- 3) სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - "მშენებლობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

- 4) სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - "ქიმიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
- 5) სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - "ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
- 6) სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - "ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

არა

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

- 1) სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - "მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
- 2) სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - "მშენებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
- 3) სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - "მშენებლობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
- 4) სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - "ქიმიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
- 5) სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - "ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
- 6) სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - "ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

**1. პირველი საკითხი:** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - "მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მშენებლობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლოპროგრამებისაკრედიტაციისსაბჭოს 2012 წლის 24 სექტემბრის№ 410 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6		ბაკალავრიატი

	უმაღლესი განათლების საფეხური	
7	დამშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	მშენებლობის ინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია, 0732
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. No 68, თბილისი, სასწავლო კორპუსი N I, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ კი

თვითაცილება განაცხადა - დავით კაპანაძემ, ნინო იმნაძემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ 2021 წლის 5-7 აპრილს განხორციელდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამა “მშენებლობა“-ს საექსპერტო შეფასება. პროგრამის შეფასება ქვეყანაში არსებული COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებით განხორციელდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების,



კერძოდ ონლაინ პლატფორმა - zoom-ის გამოყენებით და მოიცვა 2021 წლის 5 აპრილი 10.00 - 2021 წლის 7 აპრილი 18.00 პერიოდი. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი წინასწარ გაეცნო სააკრედიტაციო მასალას, ხოლო დაწესებულებაში შეფასების მიმდინარეობის დროს, ექსპერტები შეხვდნენ პროგრამაში ჩართულ მხარეებს. პროგრამის შეფასებისას, აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შემოწმებისას, ძირითადი ყურადღება გაამახვილა იმ საკითხებზე, რომელთა შესახებ პირვანდელ აკრედიტაციის დასკვნაში იყო რეკომენდაციები გაწერილი და ასევე, საბჭოს მიერ მოცემულ მითითებებზე.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - "მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

**პირველი სტანდარტი** \_ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეორე სტანდარტი** \_ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მესამე სტანდარტი** \_ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეოთხე სტანდარტი** \_ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეხუთე სტანდარტი** \_ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**

1. სასწავლო კურსების „საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობის ტექნოლოგია“ და „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის საფუძვლები“ მოხდეს გადაფარვების მქონე სალექციო თემატიკის კორექტირება ან თემატიკების გადაფარვების აუცილებლობის დასაბუთება.

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რჩევები:**

1. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტში დაემატოს ინტერვიუს მსვლელობისას წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმების გამოთვლის სქემა.
2. სასურველია რიგ სასწავლო კურსებში ყურადღება გაამახვილდეს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებზე.
3. გაძლიერდეს სტუდენტებთან საკონსულტაციო მუშაობა საერთაშორისო მობილობაში, პროექტებში, ღონისძიებებში და კონფერენციებში მონაწილეობის შესახებ მეტად ინფორმირებულობისათვის
4. სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი სასურველია ატარებდეს ანონიმურ ხასიათს, გამოკითხვის ობიექტურობის უზრუნველსაყოფად

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტთა ამიერ განსაზღვრულ პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ რეკომენდაციაში მოხსენიებულ სასწავლო კურსებს შორის არ ხდება სალექციო თემატიკების გადაფარვები. სასწავლო კურსის „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის საფუძვლები“ მიზანია „მიმოსვლის გზები, აეროდრომები, მათი ფუნქციონირების ტექნიკური პირობები და დანიშნულება, საგზაო კონსტრუქციების ძირითადი ელემენტები და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის პრინციპების შესწავლა“, რაც წინაპირობაა იმისთვის რომ სტუდენტმა აითვისოს

სასწავლო კურსის „საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობის ტექნოლოგია“ მიზანში მოცემული საკითხები: საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობის ტექნოლოგია, მიწის ვაკისის მშენებლობის თავისებურებანი, როგორც ჩვეულებრივ პირობებში, სუსტ გრუნტებში და ზამთრის პერიოდში, საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მიწის ვაკისის მშენებლობის პროცესის მართვა“. შესაბამისად სასწავლო კურსი „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის საფუძვლები“ წარმოადგენს სასწავლო კურსის „საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობის ტექნოლოგია“ წინაპირობას. აღნიშნულ ორ სილაბუსში მხოლოდ ტერმინი „მიწის ვაკისი“ არის ორივეში ნახსენები, თუმცა სრულიად განსხვავებული კონტექსტითა და სიღრმით, რისთვისაც საჭიროა განვიხილოთ აღნიშნული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის განსაზღვრული სალექციო თემატიკები. სასწავლო კურსში „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის საფუძვლები“ 2 აკადემიური საათი დათმობილი აქვს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის უმთავრესი კონსტრუქციის მიწის ვაკისის კონსტრუქციული ელემენტებისა და მისდამი წაყენებული მოთხოვნების შესწავლას (მოთხოვნები მიწის ვაკისის მდგრადობისადმი, ყრილებისა და ჭრილების დეფორმაციები. მიწის ვაკისის მდგრადობის განმსაზღვრელი ფაქტორები, გრუნტების განლაგება მიწის ვაკისში. საზოგადოებრივი მიწის ვაკისის ტიპური კონსტრუქციები, მათი ფერდობების დახრილობა სხვადასხვა ჯიშის მთის ქანებში, მიწის ვაკისის კონსტრუქციები დიდი დახრილობის ფერდობებზე. ქვის ბეტონისა და რკინაბეტონის ქვედა საყრდენი კედლების კონსტრუქციები, არმირებული გრუნტის საყრდენი კედლების კონსტრუქციები. რაც შეეხება პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის საკითხს, „მშენებლობის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია საკმაოდ კომპლექსური და დეტალური სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. „მშენებლობის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას აქვს ცხრა სწავლის შედეგი. ვინაიდან, პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის სრული ციკლის დასრულების შემდეგ, ასევე კვალიფიკაციის შესაბამის დონეს, დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, შესაბამისად პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება ხდება კომპლექსურად. იმისათვის, რომ ამგვარად ფორმულირებული პროგრამის სწავლის შედეგები გახდეს უფრო მარტივად გაზომვადი და ჩამოყალიბდეს შეფასების გამჭვირვალე, მიღწევადი და რეალისტური მიდგომები, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისთვის განისაზღვრა შეფასების ინდიკატორები. შეფასების ინდიკატორად გამოყენებულ იქნა როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების შედეგები. პირდაპირი შეფასების შედეგები - ეს არის სტუდენტების მიერ სასწავლო კურსებში/კვლევით კომპონენტებში მიღებული შეფასებები; არაპირდაპირი შეფასების შედეგები არის - დამამთავრებელი კურსის სტუდენტის თვითშეფასების კვლევის შედეგები; კურსდამთავრებულთა თვითშეფასების კვლევის შედეგები; დამსაქმებელთა მხრიდან პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენტურობის შეფასების შედეგები. სწავლის შედეგების შეფასების ნაწილში ასევე შემუშავებულია სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის და ნიშნულებთან დადარების დეტალური გეგმა. ყოველი სწავლის შედეგის თითოეული ინდიკატორისთვის განსაზღვრულია „შემფასებელი“ სასწავლო კურსები და შეფასების ინსტრუმენტები. უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული მექანიზმის დამუშავება რთული და კომპლექსური სამუშაო პროცესის შედეგია, რომელშიც ჩართული იყო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი თითოეული აკადემიური პირი. პროგრამის ხელმძღვანელის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ინდივიდუალურად მუშაობდა კონკრეტულ საგანთა ჯგუფის სილაბუსების ავტორებთან, რათა თითოეული სასწავლო კურსის სიღრმემდე მომხდარიყო სწავლის შედეგების მიღწევის და შეფასების მექანიზმების დამუშავება და სილაბუსის თითოეულ ავტორთან ერთად დაგეგმილიყო თუ რა როლი აქვს კონკრეტულ სასწავლო კურსს პროგრამაში, სწავლების როგორი ფორმით და შეფასების რა მეთოდებით არის შესაძლებელი საბოლოოდ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობა“ სწავლის შედეგის მიღწევა.

## **სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ აღნიშნა, რომ მოცემულ პროგრამაში იყო საკმაოდ დიდი რაოდენობით მოდულები და კონცენტრაციები, რომლებიც შემდეგ პროგრამის ფარგლებში გაერთიანდა. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რამ გამოიწვია აღნიშნული.

გარდა ამისა, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ როგორ ხდება პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის შეფასება.

საბჭოს წევრი, ანზორ ბერიძე დაინტერესდა თუ როგორ ხდება საკონტაქტო საათების განაწილება სასწავლო კურსების ფარგლებში.

საბჭოს წევრმა, გიორგი დადანიძემ აღნიშნა, რომ აუცილებელია ჩატარდეს შესაბამისი შრომის ბაზრის კვლევა. შრომის ბაზრის ანალიზი როგორც სამაგისტრო ასევე საბაკალავრო საფეხურზე იდენტურია. შესაბამისად, საკითხი საჭიროებს დარეგულირებას. რაც შეეხება ბიუჯეტს, არ არის საკმარისი მხოლოდ ხელფასების მითითება, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტიდან გამომდინარე შესაძლებელია ფინანსური მდგრადობის საკითხის გარკვევა.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა „ბიზნესის წარმოების პრინციპების“ სასწავლო კურსი, რომელშიც ინგლისური სათაური საჭიროებს გასწორებას. რაც შეეხება „მშენებლობის ეკონომიკას“, მოცემლი სასწავლო კურსის წინაპირობას წარმოადგენს „ალბათობის თეორია“ და „სტატისტიკა“. მოცემული სასწავლო კურსები სტანდარტულად არ არის რომელიმე დარგობრივი ეკონომიკის კურსის წინაპირობა.

სხდომის თავმჯდომარემ, ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა „საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობის ტექნოლოგიის“, „საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მოვლა-შენახვის“, „საავტომობილო გზებისა და აეროდრომების დაპროექტების საფუძვლებისა“, და „საავტომობილო ინფრასტრუქტურის მშენებლობის საფუძვლების“ სილაბუსები და განმარტა, რომ პირველი სასწავლო კურსის სილაბუსში არის წარმოდგენილი სახლმძღვანელოს ელექტრობული ვერსია, სადაც დეტალურად არის განსაზღვრული თემატიკები. რაც შეეხება მე-2 და მე-3 სასწავლო კურსს, მათი სილაბუსების შინაარსობრივი ნაწილი ორიენტირებულია საავტომობილო გზების სპეციფიკაზე, ასევეა ლიტერატურაც. შესაბამისად საბჭოს წევრა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის განმარტებისკენ.

გარდა ამისა, საბჭოს წევრი დაინტერესდა როემლს საერთაშორისო სტანდარტებს ეყრდნობა აეროდრომების მოვლა-შენახვასთან დაკავშირებული სასწავლო კურსები და ჰყავს თუ არა დაწესებულებას ამ კუთხით პრაქტიკოსი ლექტორები.

## **სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამას აკრედიტაცია მიანიჭა 2012 წელს და მოიცავდა 57 მოდულს, თუმცა ამჟამად პროგრამა წარმოდგენილია გადამუშავებული სახით. თავად დარგი არის საკმაოდ მრავალფეროვანი. მშენებლობის ინჟინერიის ბაკალავრის - კვალიფიკაციის მქონე ბაკალავრის მომზადების აქტუალურობა განპირობებულია თანამედროვე სამშენებლო კომპანიების, საინჟინრო საკონსულტაციო ფირმების, საზედამხედველო და საინსპექციო ორგანოების, ტესტირების ლაბორატორიების, ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულებით დაკავებული სამთავრობო სტრუქტურების (სამინისტროების, მერიების, მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურების) მხრიდან წლიდან წლამდე სტაბილურად მზარდი მოთხოვნით ისეთ სპეციალისტებზე, რომლებსაც აუცილებელ თეორიულ ცოდნასთან ერთად აქვთ მშენებლობის პროცესების წარმართვის, პროექტების მენეჯმენტის, საინჟინრო სისტემების ცოდნის, ლიდერობის, სამშენებლო მოედანზე შრომის უსაფრთხოების, გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების, ენერგოეფექტური მშენებლობის, კონტრაქტების დადების, ტენდერებში მონაწილეობის, მშენებლობის შეფასების და ხარისხის კონტროლის უნარი დარგის გამოცდილ სპეციალისტებთან ერთად, როგორც კერძო დაფინანსებით განხორციელებულ ისე სახელმწიფო ინფრასტრუქტურულ პროექტებში შემავალ მშენებლობებში. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში „მშენებლობა“ ცვლილებები განხორციელდა აკადემიური

საბჭოს დადგენილებით, კერძოდ დაიხვეწა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და დასაქმების სფერო, რომელიც უფრო ნათლად ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდა მთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა და სად შეძლებენ დასაქმებას პროგრამის დასრულების შემდგომ; მოდიფიცირებისას გათვალისწინებულ იქნა დარგის სპეციალისტების, სტუდენტების კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების რეკომენდაციები და წინადადებები. ასევე გაუქმდა საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი მოდულები, რომელთა შორის იყო გარკვეული შინაარსობრივი თანაკვეთა. აღმოიფხვრა ყველა სახის დუბლირება სასწავლო კურსის პროგრამებს შორის და მის ნაცვლად ჩამოყალიბდა სპეციალობის სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსების ველი.

რაც შეეხება პრაქტიკული ნაწილის შეფასების საკითხს, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს და საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს კურსდამთავრებულებმა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. პროგრამა იმგავრად არის შედგენილი, რომ სასწავლო კურსები ერთმანეთს თანმიმდევრობით მიჰყვება. სასწავლო კურსების მოიცავს ან პრაქტიკულ ნაწილს ან ლაბორატორიას და საკურსო პროექტს. აღნიშნულის გარეშე სტუდენტი ვერ გავა დასკვნით გამოცდაზე. თითოეულ სასწავლო კურსში გაწერილია სწავლის შედეგები, რომელიც შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება. თითოეულ სასწავლო კურსში გაწერილია სწავლის შედეგების შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.

მნიშვნელოვანია ასევე საკონტაქტო საათების განაწილების საკითხი, კერძოდ გამომდინარე იქიდან, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტში 7400-მდე სასწავლო კურსი მოქმედებს საჭირო გახდა საკონტაქტო საათების უნიფიცირება, როგორც 5 კრედიტიანი ასევე 2-3 კრედიტიანი სასწავლო კურსებისთვის. თუმცა ამ ეტაპზე დაწესებულება ცდილობს, თითოეული კურსისთვის საკონტაქტო საათები განსაზღვროს სპეციფიკის გათვალისწინებით.

რაც შეეხება ბიუჯეტის საკითხს, პროგრამა ამ კუთხით მდგრადია თუმცა აუცილებლად განხორციელდება დაწესებულების მიერ ბიუჯეტის ფორმის ცვლილება. გარდა ამისა, დაწესებულება მუდმივად ცდილობს დამსაქმებლებთან კომუნიკაციას და იკვლევს შრომის ბაზარს. თუმცა როგორც სხვა პროგრამებთან მიმერთებით შესაბამისად მოხდება კვლევის დახვეწა და დეტალიზება.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ მოხდება ინგლისური დასახელებების ჩასწორება შესაბამისი თარგმანით.

დაწესებულების წარმომადგენელმა სატრანსპორტო გზებსა და აეროდრომების შესახებ განმარტა, რომ დაწესებულებას ამ კუთხით ჰყავს სამი საკამოდ კვალიფიციური და გამოცდილი პროფესორი. იყო პერიოდი, როდესაც დეპარტამენტი ორიენტირებული იყო მხოლოდ სატრანსპორტო გზების მშენებლობის საკითხზე. ვინაიდან საკითხები ერთმანეთს არის მიბმული არ იქნა სათაურში გამოყოფილი, თუმცა ლიტერატურაში ორივე თემატიკა თანაბრად აის მოცემული. გარდა ამისა სტუდენტებს დამატებითად ეძლევათ ელექტრონული კონსპექტები. რაც შეეხება საერთაშორისო სტანდარტებს, ნამდვილად ხდება ამ კუთხით მუშაობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა გადაფარვასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ სასწავლო კურსის „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის საფუძვლები“ მიზანია „მიმოსვლის გზები, აეროდრომები, მათი ფუნქციონირების ტექნიკური პირობები და დანიშნულება, საგზაო კონსტრუქციების ძირითადი ელემენტები და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის პრინციპების შესწავლა“, რაც წინაპირობაა იმისთვის რომ სტუდენტმა აითვისოს სასწავლო კურსის „საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობის ტექნოლოგია“ მიზანში მოცემული საკითხები. სასწავლო კურსის „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის საფუძვლები“ სწავლის შედეგებია: აღწერს

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის ისტორიულ და მიმდინარე მიღწევებსა და სიახლეებს, ასევე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ძირითად კონსტრუქციულ ელემენტებს, მიმოსვლის გზებისა და აეროდრომების ტექნიკურ პირობებსა და დანიშნულებას; განმარტავს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სახეების გამოყენებას განსხვავებული ტექნიკური პირობებისა და მოცემულობის შემთხვევაში; აჯგუფებს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის სახეობებს სხვადასხვა ტოპოგრაფიული, ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური პირობების მიხედვით; ამოიცნობს ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის განსხვავებული სახეების გამოყენებისთვის მკაფიოდ გამოკვეთილ პრობლემებს სხვადასხვა ტოპოგრაფიული, ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური პირობების შემთხვევაში. განიხილავს მიწის ვაკისის მდგრადობის საკითხებს, საგზაო სამოსის კონსტრუქციულ ფენებს და მათ ძირითად ტიპებს, ხიდებთან მისასვლელი ყრილების სახეობებს და მათი დაცვის საკითხებს; განსაზღვრავს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის სწავლების სტრატეგიას და გეგმავს უწყვეტ პროფესიულ განვითარებას. სასწავლო კურსის „საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობის ტექნოლოგია“ სწავლის შედეგები: აღწერს საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობის ტექნოლოგიას; განმარტავს საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობისათვის საჭირო ფენების ელემენტებისა და მიწის ვაკისის მოწყობის დანიშნულებას; აკავშირებს ერთმანეთთან მიწის ვაკისისა და საფარის ურთიერთკავშირს და მუშაობის პრინციპებს; აანალიზებს საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობის საკითხ-ებში არსებულ თეორიებს და ტექნოლოგიურ სიახლეებს; ასაბუთებს მიწის ვაკისის მშენებლობისთვის საჭირო სახვადასხვა მასალებისა და მექანიზმების საჭიროებას; გეგმავს მიწის ვაკისის აგების პრაქტიკული ხასიათის პროექტს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად მასზე საგზაო საფარის მოწყობის მიზნით; აფასებს საავტომობილო გზისა და აეროდრომების მიწის ვაკისის ფენების საექსპლუატაციო ვად-ას. როგორც ზემოაღწერილიდან ჩანს, აღნიშნულ ორ სილაბუსში მხოლოდ ტერმინი „მიწის ვაკისი“ არის ორივეში ნახსენები, თუმცა სრულიად განსხვავებული კონტექსტითა და სიღრმით.

ხდომის თავმჯდომარემა, ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ სილაბუსში თემატიკის მიხედვით ჭარბობს საავტომობილო გზებთან დაკავშირებული საკითხები. სილაბუსის მიხედვით ისწავლება მხოლოდ ზოგადი ცნობები აეროდრომების შესახებ. რაც შეეხება გამოყენებულ ლიტერატურას, აღნიშნული ასევე აგებულია საავტომობილო გზების თემატიკაზე. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რა ლიტერატურით ისწავლება აეროდრომების ნაწილი.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მშენებლობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია სამართლებრივი საკითხების გათვალისწინებაც, მაგალითად როგორცაა შრომის უსაფრთხოება და ზოგადად შრომის სამართლებრივი ნორმები. აღნიშნული საკითხები სასწავლო კურსების სახით პროგრამაში შეთავაზებული არ არის, შესაბამისად, მნიშვნელოვანია პროგრამის სტუდენტებს ჰქონდეთ მცირედი სამართლებრივი ცოდნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ იმ დოზით რა დოზითაც საჭიროა მშენებლობის სპეციალისტმა ცოდეს სამართლებრივი საკითხები, პროგრამის ფარგლებში აღნიშნული გათვალისწინებულია. კერძოდ სამართლებრივი საკითხები ინტეგრირებულია შემდეგ სასწავლო კურსებში- „საინჟინრო უსაფრთხოების საფუძვლები“ და „სამშენებლო ტენდერები, ეთიკა და კონტრაქტები“.

## **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 18:35**

**დასრულების დრო: 19:50**

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მშენებლობის" საბაკავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

**აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:**

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები და მიზნები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
2. რეკომენდირებულია მოხდეს სასწავლო კურსების „საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობის ტექნოლოგია“ და „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის საფუძვლები“ გადაფარვების მქონე სალექციო თემატიკის კორექტირება;
3. რეკომენდირებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში „საავტომობილო გზებისა და აეროდრომების დაპროექტების საფუძვლები“, „საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობის ტექნოლოგია“ დეტალურად გაიწეროს აეროდრომებთან დაკავშირებული საკითხები და მიეთითოს შესაბამისი ლიტერატურა, ან დაკორექტირდეს სასწავლო კურსების დასახელებები და მოვიდეს შესაბამისობაში შინაარსთან;
4. სასწავლო კურსში „მშენებლობის ეკონომიკა“ განისაზღვროს რელევანტური წინაპირობა;
5. სასწავლო კომპონენტების ფარგლებში, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გადანაწილება მოხდეს კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.
6. სასწავლო კურსებში სწავლა-სწავლების მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს დარგის სპეციფიკასთან;
7. რეკომენდირებულია სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი ატარებდეს ანონიმურ ხასიათს, გამოკითხვის ობიექტურობის უზრუნველსაყოფად.

**რეკომენდაციებში გადავიდა შემდეგი რჩევები:**

1. სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი რეკომენდირებულია ატარებდეს ანონიმურ ხასიათს, გამოკითხვის ობიექტურობის უზრუნველსაყოფად.

**რჩევები ფორმულირდა შემდეგი სახით:**

1. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტში დაემატოს ინტერვიუს მსვლელობისას წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმების გამოთვლის სქემა.
2. სასურველია პროგრამის კურიკულუმში დამატებული იქნას დაშვების წინაპირობების შესახებ სრული ინფორმაცია.
3. სასურველი იქნებოდა კურიკულუმში მოცემული იყოს მექანიზმი (ინსტრუქცია), რომელიც მოეხმარება სტუდენტს არჩევანის სწორად ფორმირებაში.
4. სასწავლო კურსში „ბიზნესის წარმოების პრიბციპები“ გასწორდეს დასახელების ინგლისურის თარგმანი.
5. სასურველია რიგ სასწავლო კურსებში ყურადღება გამახვილდეს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებზე
6. გაძლიერდეს სტუდენტებთან საკონსულტაციო მუშაობა საერთაშორისო მობილობაში, პროექტებში, ღონისძიებებში და კონფერენციებში მონაწილეობის შესახებ მეტად ინფორმირებულობისათვის.

საბჭოს გადაწყვეტილებით კომპონენტების შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან განისაზღვრა შემდეგნაირად:

1.2, კომპონენტი, მე-2 სტანდარტი და 5.1 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორ „მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან“.

**გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3<sup>1</sup> პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3<sup>1</sup> პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**2.მეორე საკითხი:** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - "მშენებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მშენებლობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლოპროგრამებისაკრედიტაციისსაბჭოს2012 წლის28 სექტემბრისNo 481 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	მშენებლობის ინჟინერიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის	-

	საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია, 0732
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავასკ. No 68, თბილისი, სასწავლო კორპუსი N I, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ კი

თვითაცილება განაცხადა - დავით კაპანაძემ, ნინო იმნაძემ, ელიზბარ ელიზაბარშვილმა

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ 2021 წლის 5-7 აპრილს განხორციელდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამა “მშენებლობა“-ს საექსპერტო შეფასება. პროგრამის შეფასება ქვეყანაში არსებული COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებით განხორციელდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, კერძოდ ონლაინ პლატფორმა - zoom-ის გამოყენებით და მოიცვა 2021 წლის 5-7 აპრილის 10.00 -:-18.00 პერიოდი. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი წინასწარ გაეცნო სააკრედიტაციო მასალას, ხოლო დაწესებულებაში შეფასების მიმდინარეობის დროს, ექსპერტები შეხვდნენ პროგრამაში ჩართულ მხარეებს. პროგრამის შეფასებისას, აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შემოწმებისას,



ძირითადი ყურადღება გაამახვილა იმ საკითხებზე, რომელთა შესახებ პირვანდელ აკრედიტაციის დასკვნაში იყო რეკომენდაციები გაწერილი და ასევე, საბჭოს მიერ მოცემულ მითითებებზე.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - "მშენებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

**პირველი სტანდარტი** - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეორე სტანდარტი** - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მესამე სტანდარტი** - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეოთხე სტანდარტი** - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეხუთე სტანდარტი** - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**

1. რეკომენდებულია პროგრამის მე-5 და მე-6 სწავლის შედეგების მოდიფიცირება, რათა ისინი მეტად მიღწევადი და რეალისტური იყოს.

წარმოდგენილი პროგრამის კურიკულუმიდან და თვითშეფასების დოკუმენტიდან ჩანს რომ, პროგრამა აგებულია, იმგვარად, რომ სტუდენტი იღებს საჭირო ცოდნას და ცოდნის რეალიზებას ახდენს საბოლოო ნაშრომის მომზადებაში, რაც იძლევა საშუალებას სწავლის პროცესშივე გამოვლინდეს მიღებული ცოდნის საკმარისობა. შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგები მეტწილად გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია, ამასთან მეტწილად შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. აღსანიშნავია, რომ პროგრამის მე-5 შედეგში მოცემულია - მართავს მულტიდისიპლინურ გუნდს და იღებს პასუხისმგებლობას გუნდის წევრების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე. პროგრამის მე-6 შედეგში მოცემულია - აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე წარადგენს საკუთარ არგუმენტებს და დასკვნებს. რეკომენდებულია აღნიშნული სწავლის შედეგების მოდიფიცირება, რათა ისინი მეტად რეალისტური და მიღწევადი იყოს.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით და განმარტა, რომ „მშენებლობის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის სწავლის შედეგებს. დაწესებულებას მიაჩნია რომ, პროგრამის სწავლის შედეგები: „5. რელევანტური მენეჯერული სტრატეგიების ცოდნით და ეფექტური კომუნიკაციით, მართავს მულტიდისიპლინურ გუნდს და იღებს პასუხისმგებლობას გუნდის წევრების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე.“ „6. აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე წარადგენს საკუთარ არგუმენტებს და დასკვნებს მშენებლობის ინჟინერიის სფეროში, როგორც სპეციალისტების, ასევე არასპეციალისტების აუდიტორიის წინაშე“, არ საჭიროებს მოდიფიცირებას და მისი მიღწევის შეფასების ადეკვატურობას ადასტურებს, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დეტალური მექანიზმები. საგანმანათლებლო პროგრამა სავალდებულო სასწავლო კომპონენტის სახით მოიცავს ისეთ სასწავლო კურსებს, რომელთა

ერთ-ერთი უმთავრესი დანიშნულებაა ზემოხსენებული სწავლის შედეგების განვითარება, მაგ: სამშენებლო - საინვესტიციო პროექტების მენეჯმენტი, წინასამაგისტრო პრაქტიკა, სამაგისტრო ნაშრომი, აგრეთვე, საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე, დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ისწავლება უცხოურ ენაზე), და ა.შ.. რაც შეეხება ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის ნაწილში ჩამოყალიბებულ მეექვსე სწავლის შედეგს, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შრომის ბაზრის მოთხოვნებითა და დარგის სპეციალისტების შეფასებით. დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, ამ პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების ერთ-ერთი უდიდესი პლატფორმა არის სამშენებლო პროექტები და სამშენებლო სივრცე, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს მულტიდისციპლინურ გუნდს. ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ ამ პროგრამის კურსდამთავრებულს გამომუშავებული ჰქონდეს ამგვარ პროფესიულ გარემოში მუშაობის უნარები, შეძლოს გარკვეული გუნდური სამუშაოს მართვა, როგორც ხელმძღვანელმა გაიაზროს გუნდის წევრების მიერ შესრულებულ სამუშაოზე მისი პასუხისმგებლობის წილი და იზრუნოს მათ მხარდაჭერასა და პროფესიულ განვითარებაზე. აღნიშნული სწავლის შედეგის მისაღწევად საგანმანათლებლო პროგრამაში შემუშავდა და დაემატა გუნდური მუშაობის სხვადასხვა მეთოდები და შემუშავდა შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები. ასევე ყურადღება მიექცა შეფასების კრიტერიუმების გაწერისას შეფასებადი გამხდარიყო გუნდის მართვის, გუნდის წევრებთან ერთიანი პასუხისმგებლობის გაზიარების და მათ პროფესიულ განვითარებაში მხარდაჭერის საკითხები. აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებას მიაჩნია, რომ მეხუთე და მეექვსე სწავლის შედეგები რეალური, მიღწევადი და შეფასებადია. შესაბამისად, უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ კომპონენტი 1.2. „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

#### **სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა სამაგისტრო ნაშრომი, რომელის სათაურსაც წარმოადგენდა ურიგელო მონილითური გადახურვები და დააზუსტა რელევანტური იყო თუ არა აღნიშნული სამაგისტრო საფეხურისთვის.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ აცილებულია პროგრამაში კონცენტრაციების სწავლის შედეგების ცალკე გაწერა. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა ექსპერტებთან დააზუსტა სამაგისტრო ნაშრომების საკითხი.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა „საინჟინრო კვლევის საფუძვლების“ სილაბუსი და დააზუსტა არის თუ არა აღნიშნული სამაგისტრო საფეხურისთვის აუცილებელი კვლევის მეთოდების ანალოგიური სასწავლო კურსი.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენლებს დეტალურად ესაუბრათ სამაგისტრო ნაშრომებში გამოყენებულ ლიტერატურასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ 2.4 კომპონენტში არსებულ რჩევასთან მიმართებით ექსპერტებს მითითებული აქვთ, რომ მისი შესრულება რეკომენდირებულია. შესაბამისად თუ აღნიშნულს რეკომენდაციის ხასიათი აქვს უმჯობესია მისი რეკომენდაციების ნაწილში გადატანა, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა მოხდეს ტერმინის ჩანაცვლება. გადა ამისა საბჭოს წევრმა განმარტა, რომ ციტირებასთან დაკავშირებით არსებული რჩევა რეკომენდაციის ხასიათს ატარებს.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა იკითხა, თუ რომელი სასწავლო კურსებით და შედეგებით დასტურდება, ის, რომ პროგრამა გადის პირველ მიზანზე და შესაბამისად აქვს კურსდამთავრებულ მართვითი და ლიდერული უნარები.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს აღეწერათ პროგრამის სტრუქტურა და განემარტათ თუ რამ გამოიწვია კონცენტრაციებს მიხედვით დაყოფა. საბჭოს წევრმა ასევე დააზუსტა გამოყოფილი არის თუ არა ინოვაციები პროგრამის ფარგლებში ცალკე სასწავლო კურსად ან გეგმავს თუ არა დაწესებულება მის დანერგვას.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომებს შორის არის უცხო ენაზე შესრულებული ნაშრომი. შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა აქვს თუ არა დაწესებულებას გარკვეული რეგულაცია ნაშრომის ინგლისურ ენაზე შესრულების და შესაბამისი დაცვის პროცედურებთან დაკავშირებით.

### **სსდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა სრულდება სამაგისტრო ნაშრომის მომზადებითა და დაცვით, სამაგისტრო ნაშრომის შესრულებით სტუდენტი სიტემატიზაციას უკეთებს და აღრმავებს პრაქტიკულ, სამეცნიერო-კვლევით და ტრანსფერულ უნარ-ჩვევებს. კურიკულუმში შეფასების მექანიზმების აღწერისას სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისათვის არის მითითება მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესის ელექტრონულ მისამართზე. ექსპერტთა აზრით, შეფასების წესი აღწერილი უნდა იყოს კურიკულუმში. ასევე ინტერვიუებში გამოჩნდა, რომ ხდება სამაგისტრო ნაშრომების შემოწმება პლაგიატზე. თუმცა პროგრამის დოკუმენტაციაში ეს არსადაა მითითებული. შესაბამისად რეკომენდირებულია კურიკულუმში ასახული იყოს დისერტაციის შეფასების კრიტერიუმები და აღწერილი იყოს პლაგიატზე ნაშრომის შემოწმების პროცესი. ასევე სამაგისტრო ნაშრომების განხილვისას აღმოჩნდა, რომ უმეტეს მათგანში არ არის გათვალისწინებული ბიბლიოგრაფიის გაფორმების და ციტირების წესები. შესაბამისად ნაშრომები ხარისხის მეტად ამაღლების მიზნით რეკომენდირებულია უზრუნველყოფილი იყოს ლიტერატურის მითითების (ციტირება, სქოლიო) ერთიანი სტილის დაცვა.

### **სსდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა სამაგისტრო ნაშრომის სახელწოდებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა სიახლის შემოტანა და განმარტა, რომ სათაურო „ურიგელო მონოლითური გადახურვები“ არის ზოგადი ხასიათის.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ განმარტა, რომ თანამედროვე მშენებლობა ასევე მოიცავს მონოლითურ მშენებლობას, რომლებთან დაკავშირებითაც გარკვეული არ არის თუ როგორი იქნება ბინები, შესაბამისად დიდი პოპულარობა ჰპოვა რისკის შემცველმა „ურიგელო გადახურვებმა.“ შესაბამისად საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ სავარაუდოდ ნაშრომის ავტორს მოცემული შინაარსი გადმოცემა სურდა და მნიშვნელოვანი იქნებოდა თუ მოხდებოდა სათაურის მცირედი დაკონკრეტება.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ 69ნ ბრძანებაში, მოცემული რომ კონცენტრაციას აქვს სწავლის შედეგები რომლებიც გათვალისწინებულია კურიკულუმის სწავლის შედეგებში. პროგრამას აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, სადაც მოცემულია თითოეული კონცენტრაციის სწავლის შედეგი.

რაც შეეხება პროგრამის პირველ მიზანს, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინსტიტუციას წარმოდგენილი აქვს პროგრამის დანართი, რომელშიც ერთი აღწერს უშუალოდ სწავლის შედეგების ზემოქმედებას სწავლის მიზნებზე, ხოლო მეორეში მოცემულია თუ რომელ მიზნებთან არის კავშირში სწავლის შედეგები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განმარტა, რომ ის რაც მოცემულია პროგრამის მიზანში, არ არის გაშლილი სწავლის შედეგებში. საბჭოს წევრმა აღნიშნა „სამშენებლო პროექტების მენეჯმენტის“ სასწავლო კურსი და განმარტა, რომ მოცემული სასწავლო კურსის შედეგები განსხვავებულად არის ფორმულირებული და არ შეესაბამება მიზანს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება მაქსიმალურად ცდილობს დოკუმენტებში ასახოს პროგრამის ფარგლებში არსებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი და აუცილებელი საკითხი. შეიძლება გარკვეული ფორმულირებების კუთხით იყოს პრობლემები, თუმცა დაწესებულება მუდმივად მუშაობს პროგრამების განვითარების მიზნით.

საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგი უნდა ადასტურებდეს მიზანს. თავად მიზნების კი სილაბუსებში უნდა იყოს ჩამოთვლილი. აუცილებელია განისაზღვროს

რელევანტური სწავლისა და შეფასების მეთოდები. აღნიშნულ სილაბუსში არ ჩანს ასევე შეფასების მეთოდები.

საბჭოს წევრმა გიორგი ლაღანიძემ აღნიშნა, რომ პროგრამის მიხედვით არ ჩანს თუ რომელი სასწავლო კურსებით ხდება კონკრეტული უნარების სწავლება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია რეფორმულირება. წარმოდგენელია ერთი სასწავლო კურსით ლიდერული უნარებისა და გუნდური მუშაობის სწავლება და ყველა მოცემულ შედეგზე გასვლა.

საბჭოს წევრმა ეკატერინა ნაცვლიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ აუცილებელია რელევანტური შეფასების მეთოდების განსაზღვრა. ვინაიდან ლიდერობა, გუნდურობა და დაგეგმვა არ ფასდება მხოლოდ წერილობითი შეფასების გზით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სისტემა განსაზღვრულია შემდეგნაირად, რომელი სწავლის შედეგებზე თუ რომელი სასწავლო კურსები ახდენენ ზემოქმედებას და ასევე მოცემულია თუ რომელ მიზნებთან არის დაკავშირებული კონკრეტული სწავლის შედეგები. პირველ მიზანზე გადის 5 სწავლის შედეგი. შესაძლოა ფორმულირებასთან იყო პრობლემები, რაც მოგვარებადია, თუმცა უშუალოდ შინაარსთან დაკავშირებით ხარვეზები არ არის.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ კლასიფიკატორის მიხედვით, თითოეულ კონცენტრაციას უნდა ჰქონდეს სწავლის შედეგი. პროგრამაში მოცემულია 7 სწავლის შედეგი და 7 კონცენტრაცია. საკითხი არ არის პრობლემური თუმცა მოითხოვს მუშაობას.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცალაშვილმა დააზუსტა განსაზღვრულია თუ არა სამაგისტრო პროგრამაში სამართალთან დაკავშირებული სასწავლო კურსები.

პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამა მოიცავს მშენებლობის ყველა საკითხსა და მიმართულებას. პროგრამა მოიცავს 7 კონცენტრაციას, კერძოდ: სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა; შენობა-ნაგებობების გაძლიერება-რეკონსტრუქცია; ჰიდროტექნიკური მშენებლობა; საგზაო მშენებლობა; ხიდების და სატრანსპორტო გვირაბების მშენებლობა; წყლის სისტემების მშენებლობა; თბოაირმომარაგების და ვენტილაციის სისტემების მშენებლობა. კვლევითი კომპონენტი წარმოადგენს კონცენტრაციის განუყოფელ ნაწილს და სრულდება არჩეული კონცენტრაციის თემაზე/საკითხზე ფოკუსირებით. კონცენტრაციის ფარგლებში სტუდენტს აქვს საცხოვრებელი, საზოგადოებრივი, კომერციული და სამრეწველო შენობა - ნაგებობების მონტაჟის, აგების უახლესი ტექნოლოგიების ღრმა და სისტემური ცოდნა; შენარჩუნება/ექსპლუატაციის თანამედროვე მიდგომების ცოდნა. აღნიშნული მოიცავს არა ერთ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ინსტიტუციას კავშირი აქვს პოლონეთისა და სან დიეგოს უნივერსიტეტებთან. გარდა ამისა დაწესებულებას აქვს კვლევის ცენტრი სადაც შესაძლებელია მომავალში გარკვეული ექსპერიმენტების ჩატარება მაგისტრების მიერ კვლევის მიზნებისთვის.

ინგლისურენოვან სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სამაგისტრო ნაშრომი არ მიეკუთვნება წარმოდგენილ პროგრამას.

სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსები, რომლებიც ეხება ძირითადად მშენებლობის ექსპერტიზას და აუცილებელია ყველა კონცენტრაციის სტუდენტისთვის. კონცენტრაციებში ასევე არის ჩაშლილი ექსპერტიზის საკითხები სხვადასხვა მიმართულებით. თითოეულ სასწავლო კურსს თან სდევს სამართლებრივი ბაზა. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ საკანონმდებლო რეგულაციები ჩაშლილია თავად სასწავლო კურსებში. აუცილებელია სამართლებრივი საკითხები მიწოდებულია სტუდენტებისთვის.

საბჭოს წევრმა რჩევის სახით აღნიშნა, რომ მიზანშეწონილი იქნება იმ ძირითადი პრინციპების გამოტანა, რომლებითაც რეგულირდება სამშენებლო სამართალი. აღნიშნული საკითხი პრაქტიკულად საკმაოდ მნიშვნელოვანია. აუცილებელია სამართლებრივი ძირითადი საკითხები სტუდენტებისთვის კონსოლიდირებულად იყოს მოცემული.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 18:35**

**დასრულების დრო: 19:50**

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მშენებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

**აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:**

1. საგანმანათლებლო პროგრამის პირველი მიზანი ( შესძინოს კურსდამთავრებულებს ტექნიკური, საინჟინრო, მართვითი და ლიდერის უნარები, საჯარო, კომერციული, საცხოვრებელი და/ან ინდუსტრიული სტრუქტურების (ასევე მათი აღჭურვის) მონტაჟის, აგებისა და მათი შენარჩუნების ტექნოლოგიების ახალი სტრატეგიული მიდგომებით წარმართვისთვის) მოვიდეს შესაბამისობაში პროგრამის შინაარსთან და იყოს რელევანტური სავადებლულო დარგობრივ კურსებთან მიმართებაში.
2. რეკომენდებულია პროგრამის მე-5 და მე-6 სწავლის შედეგების მოდიფიცირება, რათა ისინი მეტად მიღწევადი და რეალისტური იყოს.
3. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები და მიზნები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
4. საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაციების სწავლის შედეგები გაიწეროს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად;
5. სასწავლო კურსში „ენერგოდამზოგი ტექნოლოგიები მშენებლობაში“ რეკომენდირებულია სათაური და შინაარსი მოვიდეს შესაბამისობაში.
6. რეკომენდირებულია კურიკულუმში ასახული იყოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და აღწერილი იყოს პლაგიატზე ნაშრომის შემოწმების პროცესი.
7. სამაგისტრო ნაშრომებში უზრუნველყოფილი იყოს ლიტერატურის მითითების (ციტირება, სქოლიო) ერთიანი სტანდარტის დაცვა.
8. რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დროს თანამედროვე ლიტერატურის გამოყენება.
9. სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი გამოკითხვის ობიექტურობის ასამაღლებლად უნდა იყოს ანონიმური
10. რეკომენდირებულია პროგრამის ფარგლებში ამოქმედდეს შიდა ხარისხის მექანიზმები.
11. სილაბუსებში გამოყენებულ იქნას სწავლის შედეგების რელევანტური შეფასების მეთოდები.
12. რეკომენდირებულია პროგრამის ფარგლებში ამოქმედდეს შიდა ხარისხის მექანიზმები.

**რეკომენდაციებში გადავიდა შემდეგი რჩევები:**

1. სასწავლო კურსში „ენერგოდამზოგი ტექნოლოგიები მშენებლობაში“ რეკომენდირებულია სათაური და შინაარსი მოვიდეს შესაბამისობაში.
2. სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი გამოკითხვის ობიექტურობის ასამაღლებლად უნდა იყოს ანონიმური

**რჩევები ფორმულირდა შემდეგი სახით:**

1. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტში დაემატოს ინტერვიუს მსვლელობისას წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმების გამოთვლის სქემა.
2. გაძლიერდეს ინოვაციების სწავლება საერთაშორისო პროგრამების გამოცდილების გათვალისწინებით.
3. დაინერგოს სასწავლო კურსი, რომელშიც კონსოლიდირებული იქნება სამშენებლო საკითხების სამართლებრივი რეგულირება.
4. მაგისტრანტების მეტი ინფორმირებულობა და ჩართულობა სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში

**საბჭოს გადაწყვეტილებით კომპონენტების შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან განისაზღვრა შემდეგნაირად:**

**პირველი სტანდარტი, მე-2 სტანდარტი და 5.1 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან“.**

**გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3<sup>1</sup> პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3<sup>1</sup> პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**3. მესამე საკითხი:** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - "მშენებლობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მშენებლობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, გადაწყვეტილება N543, 28.09.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	მშენებლობის ინჟინერიის დოქტორი

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია, 0732
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	55
14	განხორციელების ადგილი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავასკე. No 68, თბილისი, სასწავლო კორპუსი N I, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ კი

თვითაცილება განაცხადა - დავით კაპანაძემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა და ნინო იმნაძემ. საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ 2021 წლის 5-7 აპრილს განხორციელდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა “მშენებლობა“-ს საექსპერტო შეფასება. პროგრამის შეფასება ქვეყანაში არსებული COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებით განხორციელდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, კერძოდ ონლაინ პლატფორმა - zoom-ის გამოყენებით და მოიცვა 2021 წლის 5 აპრილი 10.00 - 2021 წლის 7 აპრილი 18.00 პერიოდი. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი წინასწარ გაეცნო სააკრედიტაციო მასალას, ხოლო დაწესებულებაში შეფასების მიმდინარეობის დროს, ექსპერტები შეხვდნენ პროგრამაში ჩართულ მხარეებს. პროგრამის შეფასებისას, აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა შემოწმებისას, ძირითადი ყურადღება გაამახვილა იმ საკითხებზე, რომელთა შესახებ პირვანდელ აკრედიტაციის დასკვნაში იყო რეკომენდაციები გაწერილი და ასევე, საბჭოს მიერ მოცემულმითითებებზე

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - "მშენებლობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

**პირველი სტანდარტი** – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა – შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეორე სტანდარტი** – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა – შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მესამე სტანდარტი** – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა – შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეოთხე სტანდარტი** – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა – შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეხუთე სტანდარტი** – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები – შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**

1. რეკომენდებულია პროგრამის მე-6 სწავლის შედეგის მოდიფიცირება, რათა ის მეტად მიღწევადი და გაზომვადი იყოს.
2. კურიკულუმში მითითებული უნდა იყოს პლაგიატზე სადისერტაციო ნაშრომის შემოწმების ვალდებულება.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „მშენებლობის“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებისას, განსაკუთრებული ყურადღებით მოხდა თითოეული სწავლის შედეგების დამუშავება, პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, აგრეთვე შესაბამისი დაინტერესებული პირების მონაწილეობით, რათა სათანადო დონეზე ყოფილიყო წარმოჩენილი როგორც საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ განსაზღვრული მოთხოვნები, ასევე დარგის სპეციფიკა და შრომის ბაზრის მოთხოვნები. დაწესებულებას მიაჩნია, რომ რომ პროგრამის მეექვსე სწავლის შედეგი: „აკადემიური და ხელმძღვანელობითი კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, დამოუკიდებლად ახორციელებს მშენებლობის ინჟინერიის სფეროს უახლეს საინჟინრო-ტექნოლოგიურ მიღწევებზე დამყარებულ ინოვაციურ კვლევით პროექტებს“, სრულიად შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით დოქტორანტურის საფეხურის შესაბამის მერვე დონის სწავლის შედეგებს და სრულიად მიღწევადი და შეფასებადია პროგრამის კვლევითი კომპონენტის ფარგლებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი არ თვლის მიზანშეწონილად, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მოხდეს იმ საკითხების აღწერა, რომლებიც დარეგულირებულია სტუ-ს სხვადასხვა სამართლებრივი აქტებით. მათ შორის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „დოქტორანტურის დებულება“ დეტალურად აწესრიგებს საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესსა და კრიტერიუმებს; ხაზგასასმელია, რომ აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესი. გარდა ამისა, სტუ-ს დოქტორანტურის დებულების დანართ-2 ში „დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის გაფორმების ინსტრუქციაში“ დეტალურად არის გაწერილი ლიტერატურის მითითებების ერთიანი სტანდარტი.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამები ეფუძნება ზალცბურგის პრინციპებსა და რეკომენდაციებს, შესაბამისად მნიშვნელოვანი და აუცილებელია შრომის ბაზრის სპეციფიკური კვლევის არსებობა. ეს კვლევა განსხვავდება საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე არსებული კვლევისაგან.



გარდა აღნიშნულისა საბჭოს წევრმა გამოყო ლიტერატურის საკითხი და განმარტა, რომ პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული 1992 წლის სახელმძღვანელო. ასევე სადოქტორო ნაშრომში ამოყენებული იქნა 1975 წლის რუსული ლიტერატურა.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა გამოყო „სწავლების მეთოდებისა და განათლების მენეჯმენტის სასწავლო კურსი“ და აღნიშნა, რომ კურსის შინაარსი საუკეთესო შემთხვევაში გადის სწავლების მეთოდებზე და არ არის გათვალისწინებული განათლების მენეჯმენტის საკითხი, შესაბამისად, უნდა მოხდეს სახელწოდების დაკორექტირება, რათა ის შინაარსთა იყოს შესაბამისობაში.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ განსაზღვრული რჩევების უმრავლესობა ეხება სადოქტორო ნაშრომებს, შესაბამისად საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ ბუნდოვანი რჩევა სადისერტაციო ნაშრომების ხარისხი და მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენლები მეტი კონკრეტიკისთვის.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცალაიშვილმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ პლაგიატზე შემოწმების პროცედურა და მოთხოვნები.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ დააზუსტა აქვს თუ არა დაწესებულებას შესწავლილი ადგილობრივი ბაზარი და უცხოეთში მსგავსი პროგრამები.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ დაინტერესდა თუ როგორ არის დამუშავებული სადოქტორო ნაშრომების თემატიკა. აღნიშნული წინასწარ არის დადგენილი თუ დამოკიდებულია თავად ხელმძღვანელზე.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დისერტაციებთან დაკავშირებით განმარტა, რომ რჩევები ძირითადად ეხება, იმას, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია გახდეს მეტად ინფორმაციული. რა თქმა უნდა მოთხოვნები მოცემულია დებულებაში, თუმცა არ ჩანს პროგრამის სასწავლო კურსებსა და კურიკულუმში.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა დააზუსტა, დასაშვებია თუ არა ის, რომ დოქტორანტმა ნაშრომი არ გამოაქვეყნოს მაღალ რეიტინგულ ჟურნალში.

ექსპერტმა განმარტა, რომ უცხოურ რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები მიუთუთებენ კვლევის მაღალ ხარისხზე, თუმცა ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნება არ ნიშნავს, რომ კვლევის დონე არის დაბალი. აღნიშნული წარმომადგენს ინსტიტუციის მიერ გადასაწყვეტ საკითხს.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ თვითშეფასებაში ნახსენებია დოქტორანტების 334 კვლევა. შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რამდენია აღნიშნული რაოდენობიდან გამოქვეყნებული მაღლა იმპაქტფაქტორიან ჟურნალში.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა შრომის ბაზართან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ინსტიტუცია იაზრებს და აცნობიერებს საკითხს და შესაბამისად მუშაობს მის განვითარებასა და დახვეწაზე.

რაც შეეხება ბიბლიოგრაფიას სადოქტორო ნაშრომებში, აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღებით მოწმდება ის წყაროები რასაც ეყრდნობა დოქტორანტი ნაშრომის ფარგლებში, რასაც საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს საბოლოო შედეგზე გასასვლელად. დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს ლიტერატურასთან დაკავშირებული პრობლემა და პროგრამის განმახორციელებლები შესაბამისად მუშაობენ საკითხის გამოსწორებაზე.

„სწავლების მეთოდებისა და განათლების მენეჯმენტის“ სასწავლო კურსთან დაკავშირებით დაწესებულებს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სადოქტორო საფეხურისთვის განმსაზღვრელია სწავლების მეთოდები. შესაბამისად დაწესებულების მხრიდან მოხდება სასწავლო კურსის ჩანაცვლება.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ტექნიკურმა უნივერსიტეტმა შეიტანა ცვლილებები დოქტორანტურის დებულებაში და დოქტორანტი დაავალდებულა რომ გამოეცა ერთი ნაშრომი მაინც უცხოურ იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალში. ასევე სავალდებულოა, რომ ერთი ნაშრომი აუცილებლად იყოს დამოუკიდებლად შესრულებული, თანაავტორობის გარეშე.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ დაწესებულებას მოწესრიგებული აქვს პლაგიატზე შემოწმების წესი, რომელშიც განსაზღვრულია არა მარტო ფორმალური პროცესები, არამედ განცხდაების და სხვა აუცილებელი ფორმები. ვერც ერთი სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომი ვერ გავა დაცვაზე, თუ არ გაივლის პლაგიატზე შემოწმებას. დაწესებულებაში იყო პლაგიატის შემთხვევა და შესაბამისად, არ მოხდა აღნიშნული ნაშრომის დაცვაზე გატანა, სანამ დოქტორანტმა არ გამოასწორა არსებული ხარვეზი.

აღსანიშნავია ასევე, რომ ფაკულტეტს აქვს საკმაოდ დიდი კავშირები საზღვარგარეთ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მე-14 დანართში წარმოდგენილია როგორც უცხოური ასევე ქართული უნივერსიტეტების გამოხმაურება პრპგრამასთან დაკავშირებით. თუმცა დაწესებულება მუდმივად ცდილობს ამ მიმართულებით გაძლიერებას.

საბჭოს წევრმა ანზორ ბერიძემ აღნიშნა, რომ მშენებლობა ტექნიკური უნივერსიტეტის ერთ-ერთი ძლიერი მიმართულებაა, შესაბამისად პროგრამის ფარგლებში ნაკლებად სავარაუდოა ისეთ კვლევების არსებობა, რომლებსაც დოქტორანტები ვერ გამოაქვეყნებენ. შესაბამისად, საბჭოს წევრმა განმარტა, რომ მაღალფაქტორიან საერთაშორისო ჟურნალში გამოქვეყნების მოთხოვნა საკმაოდ რელევანტური მოცემული პროგრამისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინსტიტუციისთვის მნიშვნელოვანია მოცემული მოთხოვნის ყველა პროგრამისთვის განსაზღვრა და ამ კუთხით განვითარება.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სადოქტორო ნაშრომებში წარმოდგენილია მაღალ დონის კვლევები, რომლებიც დაკავშირებულია იმ რეალურ საკითხებთან რომლებიც წარმოიშობა მშენებლობის მოედანზე. შესაბამისად სამშენებლო მოედანზე არსებული საკითხი შესაძლოა მომავალში გახდეს სამეცნიერო კვლევის თემა. პროგრამის ფარგლებში არც ერთი სამეცნიერო ნაშრომის არ გადის დაცვაზე ექსპერიმენტებისა და პრაქტიკის გარეშე. დაწესებულება ასევე მუშაობს, რომ სადოქტორო ნაშრომები იყოს მიზნობრივი, გარკვეულ თემატიკასთან დაკავშირებით, ვინაიდან კავშირი არსებობს კომერციალიზაციასთანაც. მნიშვნელოვანია, რომ თემა, რომელიც გარემოში წარმოიქმნება მოითხოვს აუცილებელ შესწავლას.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა სადოქტორო თემატიკასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სადოქტორო პრპგრამის ერთ ერთი წინაპირობაა, რომ მომავალმა დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს კვლევის პროექტი და კვლევის თემატიკა. პროგრამის ფარგლებში კი ხდება თემატიკის გამოკვეთა და მიმართულების დახვეწა. აღნიშნული კი აუცილებელია იმისთვის, რომ დაცვაზე გამოტანილ ნაშრომს ჰქონდეს კვლევითი ღირებულება. პროგრამის ფარგლებში ასევე უხოური უნივერსიტეტებიდან გათვალისწინებული თანახელმძღვანელების არსებობა.

საბჭოს წევრმა ანა ფირცხალაიშვილმა აღნიშნა, რომ დისერტაცია უახლეს ცოდნას აწვდის საზოგადოებას. შესაბამისად, ლიტერატურაც ამას უნდა მოწმობდეს. წარმოდგენილი დისერტაციების ლიტერატურის უმრავლესობა რუსულენოვანია და საკამოდ მოძველებული. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა რამდენად რელევანტურია თანამედროვე სადისერტაციო ნაშრომებში 1957 და 1992 წლის ლიტერატურის გამოყენება.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ლიტერატურის სიმრავლე არ არის დისერტაციის ღირებულება. აღნიშნული წარმოადგენს მიმოხილვით ნაწილს, ანუ იმის აღნიშვნას, თუ რა იყო ადრე. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ საკითხებს, რომლებიც დასმული და ამოხსნილია. შესაძლოა ნაშრომი ლიტერატურით იყოს საკმაოდ მდიდარი, თუმცა ნაშრომი არ იყოს ღირებული.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ კვლევისთვის რელევანტური წყაროების შერჩევას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ წყარო არ არის შესაბამისი, რთულია ღირებულ დასკვნაზე გასვლა.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ დააზუსტა ეფუძნება თუ არა თავად დოქტორანტების მოსაზრებებს ექსპერტთა მიერ განსაზღვრული რეკომენდაცია პლაგიატთან დაკავშირებით. პლაგიატის წესში აღნიშნულია, რომ თუ ორჯერ წინსწრებით მოხდება დოქტორანტის ნაშრომის შემოწმება ამაში სავალდებულოა თანხის გადახდა. გარდა აღნიშნულისა, დათვლის სისტემა საკმაოდ რთულად არის წარმოდგენილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ბიბლიოგრაფიასთან დაკავშირებით აღნიშნა, ინსტიტუცია იზიარებს საბჭოს წევრთა რჩევებსა და მოსაზრებებს და განაგრძობს ამ კუთხით მუშაობას.

რაც შეეხება პლაგიატის საკითხს, აღნიშნული არის ფასიანი სერვისი, რომელიც არსებობს ტექნიკურ უნივერსიტეტში. უფასო სერვისის გამოყენების შემდგომ, თუ სტუდენტი კვლავ მოითხოვს ნაშრომის შემოწმებას, მოცემული სერვისი უკვე ფასინია. უზრუნველყოფის კუთხით ამ საკითხთან დაკავშირებით პრობლემები არ არსებობს.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე განმარტა, რომ დისერტაცია ფასდება კომპონენტების მიხედვით, შესაბამისად რომელიმე კომპონენტში არსებული ხარვეზი პირდაპირ კავშირშია საბოლოო შეფასებასთან. პროგრამის ფარგლებში საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა გამოყენებულ თანამოდროვე და აქტუალურ წყაროებს. დაწესებულების მიერ ყოველწლიურად იხარჯება თანხები იმ მიზნით რომ თითოეულ დოქტორანტს ჰქონდეს წვდომა საერთაშორისო ბაზებთან და წყაროებთან.

### **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 18:35**

**დასრულების დრო: 19:50**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - "მშენებლობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 1 წელში მონიტორინგის განხორციელებით და ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

### **აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:**

1. რეკომენდებულია პროგრამის მე-6 სწავლის შედეგის მოდიფიცირება, რათა ის მეტად მიღწევადი და გაზომვადი იყოს.
2. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები და მიზნები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
3. რეკომენდებულია სწავლების მეთოდებისა და განათლების მენეჯმენტის სასწავლო კურსის სილაბუსი გასწორდეს და მოვიდეს შესაბამისობაში კურსის მიზანსა და შინაარსთან;
4. რეკომენდებულია სადისერტაციო ნაშრომებში განახლდეს სამეცნიერო ლიტერატურა და როგორც ქართულენოვანი გამოცემები, ისე უცხოენოვანი პუბლიკაციები იყოს უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული;
5. სადისერტაციო ნაშრომებში გასწორდეს გაფორმების წესები, ციტირების საკითხები და მოვიდეს შესაბამისობაში გაფორმების საერთაშორისო სტანდარტებთან.
6. გაძლიერდეს კვლევის ინტერნაციონალიზაციის საკითხი და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნება.
7. რეკომენდირებულია გაიზარდოს დოქტორანტების ინფორმირება სამეცნიერო ბაზებთან წვდომის შესახებ.

8. რეკომენდირებულია დოქტორანტების კონსულტირება სადისერტაციო ნაშრომების გაფორმებასთან დაკავშირებით
9. გაიზარდოს ხელმძღვანელების მხრიდან სადოქტორო ნაშრომების გაფორმებისა და შინაარსობრივი ნაწილის შესაბამისობის კონტროლი უნივერსიტეტში მოქმედ რეგულაციებთან.
10. რეკომენდირებულია პროგრამის ფარგლებში ამოქმედდეს შიდა ხარისხის მექანიზმები.
11. რეკომენდირებულია დაცული დისერტაციების მონიტორინგის საფუძველზე შემუშავდეს სადოქტორო ნაშრომების ხარისხის ამაღლების დამატებითი კრიტერიუმები და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პერიოდული შეფასების მექანიზმები.

#### **ამოღებული იქნა შემდეგი რჩევები:**

1. დოქტორანტების სავალდებულო პუბლიკაციებში ჩაართოს მაღალრეიტინგულ რეფერირებულ გამოცემაში კვლევის შედეგების გამოქვეყნება;
2. უზრუნველყოფილი იყოს ბიბლიოგრაფიის მითითების (ციტირება, სქოლიო) ერთიანი სტანდარტის დაცვა და პლაგიატზე შემოწმება.

#### **რჩევები ფორმულირდა შემდეგი სახით:**

1. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტში დაემატოს ჯგუფებთან ინტერვიუს მსვლელობისას წარმოდგენილი „შეფასების კრიტერიუმების გამოთვლის სქემა“.
2. რეკომენდირებულია კურსის „სტრუქტურულ-კომპოზიციური და ტექნოლოგიური თავისებურებანი მშენებლობაში“ სილაბუსში ბოლო სწავლის შედეგის კორექტირება, რათა ის მეტად მიღწევადი და გაზომვადი იყოს
3. სასურველია კურიკულუმში ასახული იყოს დისერტაციის შეფასების კრიტერიუმები

#### **საბჭოს გადაწყვეტილებით კომპონენტების შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან განისაზღვრა შემდეგნაირად:**

1.2 კომპონენტი, მე-2 სტანდარტი, მე-3 სტანდარტი და მე-5 სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

#### **გადაწყვეტილება:**

„უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3<sup>1</sup> პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3<sup>1</sup> პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის პირველი და მეორე ქვეპუნქტების, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის და მონიტორინგის განხორციელების პირობით.

**მესამე საკითხის დასრულების შემდეგ საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა ანა ფირცხალაშვილმა.**

**4. მეოთხე საკითხი:** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - "ქიმიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციის საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქიმია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, გადაწვეტილება N501, 28.09.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ქიმია, 0531
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. N77, თბილისი, 0171, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ კი

თვითაცილება განაცხადა - დავით კაპანაძემ, ნინო იმნაძემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა

დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ინტერვიუების პროცესი წარიმართა დისტანციურად, 2021 წლის 7 და 8 აპრილს, ხოლო მატერიალური რესურსის დათვალიერება განხორციელდა 8 აპრილს. ექსპერტთა ჯგუფმა იმუშავა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. შეხვედრები ჩატარდა პროგრამის განმახორციელებელ პირებთან და დაინტერესებულ მხარეებთან: უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასება განხორციელდა უნივერსიტეტში ვიზიტის გზით (სტუ-ს მე-2 კორპუსი). ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ის სასწავლო სივრცე და ლაბორატორიები, სადაც არის დაგეგმილი პროგრამის განხორციელება. ექსპერტები ასევე იმყოფებოდნენ სტუ-ს ბიბლიოთეკაში, პროგრამაში მითითებული ლიტერატურის გაცნობის მიზნით. შეხვედრების დასრულების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნეს აკრედიტაციის ვიზიტის ძირითადი მიგნებები. ვიზიტის ფარგლებში დისტანციური ინტერვიუების პროცესი შეფერხებების გარეშე წარიმართა. ექსპერტთა ჯგუფის წევრებს და უნივერსიტეტს შორის ურთიერთობა იყო თანამშრომლობითი და კონსტრუქციული.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - "ქიმიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

**პირველი სტანდარტი** \_ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეორე სტანდარტი** \_ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მესამე სტანდარტი** \_ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეოთხე სტანდარტი** \_ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეხუთე სტანდარტი** \_ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**

1. პროგრამის მიზნები უფრო რეალისტური და მიღწევადი უნდა გახდეს და შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის შინაარსთან;
2. გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგების და შინაარსის თავსებადობა;
3. განისაზღვროს სწავლის შედეგები თითოეული კონცენტრაციისთვის;
4. განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის.

5. გადაიხედოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უცხო ენის (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული) B2 დონეზე ცოდნასთან დაკავშირებით და განისაზღვროს ის პროგრამის საჭიროების გათვალისწინებით.
6. პროგრამას დაემატოს ლაბორატორიული მეცადინეობების ან პრაქტიკული/ლაბორატორიული კვლევითი პროექტები ორგანული და ფიზიკური ქიმიის კონცენტრაციების მიმართულებებით;
7. პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა მოდერნიზება გაუკეთოს პროგრამის სტრუქტურას და შინაარსს, შეაჯეროს და მოახდინოს საერთო სასწავლო კურსების და არჩევითი კონცენტრაციების კურსების სწორად გადანაწილება, პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად;
8. კვლევითი კომპონენტისათვის - სამაგისტრო ნაშრომი, განისაზღვროს დაშვების წინაპირობა.
9. პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებელმა პერსონალმა გადახედოს სასწავლო კურსების სილაბუსებს და გაასწოროს საკითხების გადაფარვები სხვადასხვა სასწავლო კურსებში.
10. გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები და შეუსაბამოს კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს: სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი, ორგანულ ნივთიერებათა ანალიზი, ელემენტორგანულ ნივთიერებათა ქიმია, ჰეტეროციკლურ ნაერთთა ქიმია, ნახევარპროდუქტების ქიმია, ინსტუმენტული ანალიზი მაგისტრანტებისათვის.
11. სტუდენტების პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარების მიზნით, პროგრამაში გაიზარდოს ლაბორატორიული მეცადინეობების წილი, დაიგეგმოს კურსკულუმს გარეთ შესაბამისი აქტივობები.
12. უნივერსიტეტმა დაგეგმოს და განახორციელოს ტრენინგები აკადემიური პერსონალის სწავლების თანამედროვე მეთოდებთან და მათ სასწავლო პროცესში გამოყენებასთან დაკავშირებით.
13. პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტების და მეთოდების განსაზღვრისას, გაითვალისწინოს კურსის სპეციფიკა, სწავლის შედეგები და შინაარსი;
14. განხორციელდეს შეფასების შედეგების კომპლექსური ანალიზი და შემუშავდეს გაუმჯობესების რეალური მექანიზმები.
15. სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და დანერგოს ხარისხის კონტროლის ეფექტური მექანიზმები.
16. აკადემიური პერსონალისადმი წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, დაემატოს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ასახული პუბლიკაციები (Scopus და Web of Science).
17. დაიხვეწოს აკადემიური პერსონალის აკადემიურ, სამეცნიერო-კვლევითი და სტუდენტის მნიშვნელოვან საქმიანობაში მიღწეული შედეგების შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებულ იქნება თანამედროვე გამოწვევები და შესაბამისად შეფასდება IF მქონდე ჟურნალებში პუბლიკაციები, დარგის მნიშვნელოვან და აღიარებულ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა, საერთაშორისო პატენტები და საერთაშორისო თანამშრომლობები.
18. გაუმჯობესდეს სტუ-ს II კორპუსში განთავსებული ლაბორატორიების (პროგრამის ძირითადი ბაზა) მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
19. დაწესებულებამ შეიმუშაოს მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების
20. განისაზღვროს პროგრამის განვითარებისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსი, მათ შორის სამაგისტრო კვლევების გაუმჯობესებისათვის განკუთვნილი ბიუჯეტი.
21. პროგრამის შიდა შეფასებისას, გამოიყენეთ კომპლექსური მიდგომები PDCA ციკლის ყველა ეტაპზე, რათა სწორად იქნას იდენტიფიცირებული პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, თითოეულ სტანდარტთან მიმართებაში.

22. პროგრამის შემდგომ განვითარების მიზნით, მნიშვნელოვანია გარე შეფასების სისტემის გაუმჯობესება, მრავალფეროვანი მიდგომების გამოყენებით.
23. პროგრამის შემდგომ განვითარების მიზნით, მნიშვნელოვანია გარეპერიოდულად მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგ პროგრამებთან, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ პროგრამის რეაკრედიტაციისათვის მზადების პროცესში, დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გათვალისწინებით, უნივერსიტეტის მისიასთან შესაბამისობით, ჩამოყალიბებულ იქნა პროგრამის მიზნები და პროგრამის შინაარსი მოვიდა მიზანთან შესაბამისობაში. პროგრამის ზოგადი ნაწილი შედგება ქიმიის სასწავლო კურსების 40 კრედიტისაგან, რომელიც სტუდენტს აძლევს ღრმა ცოდნას ქიმიის სამი აღნიშნული მიმართულებით.

მე-2 რეკომენდაციასთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების შესრულებას. დასკვნაში მითითებულ ერთ-ერთ სასწავლო კურსთან მიმართებაში შეიძლება ითქვას, რომ კურსის სწავლის შედეგები და შინაარსი, შეფასების სისტემა უზრუნველყოფს კურსის მიზანს, რაც თავის მხრივ ეთანადება პროგრამის სწავლის შედეგებს. შეიძლება მსჯელობა კურსის მოცულობის გაზრდაზე იმ პროცედურების, შესაბამისი მონიტორინგის ციკლის ფარგლებში, რომლებიც მოყვანილია წარმოდგენილ დანართებში.

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაციის არსებობისა და მისი სწავლის შედეგების საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით. აღნიშნულ კანონქვემდებარე აქტში მოცემული სამართლებრივი ნორმა ამომწურავად განსაზღვრავს უნივერსიტეტის მიერ დასაცავ რამოდენიმე პირობას: კონცენტრაცი(ებ)ის გათვალისწინება შესაძლებელია მხოლოდ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში; კონცენტრაცია გულისხმობს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/საგნების/მოდულების დაჯგუფებას კონკრეტულ თემაზე/საკითხზე ფოკუსირებით; კონცენტრაციას აქვს სწავლის შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში; საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაციის არსებობა არ ცვლის ამ პროგრამის სწავლის სფეროს ან/და მისანიჭებელ კვალიფიკაციას; ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაცია უნდა ითვალისწინებდეს არაუმეტეს 30 კრედიტს საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით, ხოლო მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში – არანაკლებ პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობის 50%-ს.“ გარდა ზემოაღნიშნულისა, მაგისტრანტები წინასწარ ინფორმირებულნი არიან თითოეული კონცენტრაციის შინაარსის და იმ კომპეტენციების შესახებ, რომელსაც განვითარებს სტუდენტი კონცენტრაციის გავლის შედეგად. მაგისტრანტების მიერ კონცენტრაციების არჩევა ხორციელდება ელექტრონულად, სტუდენტის თავისუფალი ნების გამოვლენით და გამჭვირვალე პროცედურით. ყველაფრის გათვალისწინებით, უნივერსიტეტი მიზანშეწონილად მიიჩნევს, შენარჩუნდეს პროგრამაში წარმოდგენილი დამოკიდებულება კონცენტრაციების სწავლის შედეგების ასახვასთან დაკავშირებით პროგრამის სწავლის შედეგებში.

რაც შეეხება მე-4 რეკომენდაციას, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოყვანილია სამიზნე ნიშნულები სწავლის შედეგებისთვის, რომელიც წარმოდგენილია სამი დოკუმენტის სახით: სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სწავლის შედეგების შესრულების ანგარიში და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. აღნიშნული დოკუმენტებიდან



ცალსახად შეიძლება დადგინდეს სამიზნე ნიშნული თითოეული სწავლის შედეგისათვის. თუმცა ამ მიმართულების შემდგომი განვითარების ეტაპად დაწესებულება განიხილავს რეკომენდაციაში ასახული მითითების შესრულებას.

დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ მე-5 რეკომენდაციას და აგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას.

მნიშვნელოვანია ასევე მე-6 რეკომენდაცია, კერძოდ ორგანული და ფიზიკური ქიმიის კონცენტრაციების მიმართულებით სასწავლო კურსების აბსოლუტურ უმრავლესობას ერთ-ერთ ფორმად განსაზღვრული აქვს პრაქტიკული მეცადინეობა. პროგრამის განვითარების მიზნებისთვის განსაკუთრებული ყურადღებით გაგრძელდება ამ კუთხით სწავლის შედეგების შეფასება, რომლის შედეგები ცხადყოფს შემდგომ გასატარებელ ღონისძიებებს.

დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ მე-8 რეკომენდაციასაც. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულებაში მოცემულია - „სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება პირი, რომელმაც მთლიანად შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტი, შესაბამის პერიოდში, დადგენილი წესით წარმოადგინა სამაგისტრო ნაშრომი“. შესაბამისად, მიზანშეწონილად ჩაითვალია, როგორც ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურის სხვა პროგრამებში, ქიმიის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაშიც აისახოს კვლევით კომპონენტზე დაშვების წინაპირობად - სასწავლო კომპონენტის შესრულება.

რაც შეეხება გადაფარვის საკითხებს, მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო კურსის სილაბუსებში მოცემული თემატიკები განიხილება და შეისწავლება კონკრეტულად შესაბამისი სასწავლო კურსის მიზნებისათვის, სათანადო სპეციფიკითა და სიღრმით, მიზანშეწონილად მივიჩნევთ, რომ გაგრძელდეს რეკომენდაციით დასმულ საკითხზე შემდგომი მუშაობა და მიღებულ იქნას ოპტიმალური გადაწყვეტილებები.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ მე-10 რეკომენდაცია მეტნაკლებად მისაღებია დაწესებულებისთვის, კერძოდ ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდების გადახედვა რეკომენდაციაში მოყვანილია ლაბორატორიული მეცადინეობების ან სასწავლო/კვლევითი პროექტის როლის გაძლიერებით. საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნებისათვის.

მე-11 რეკომენდაციასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ დასკვნის პროექტში ლაბორატორიული მეცადინეობების წილის გაზრდაზე დაყრდნობით რამოდენიმე რეკომენდაციაა წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ პროგრამა მოიცავს პრაქტიკის კომპონენტს, პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობების ფართო სპექტრს. აგრეთვე, უნივერსიტეტი სტუდენტებს საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღონ სტუდენტთა ყოველწლიურ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში, საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში. ასევე, როგორც შიდა, ასევე რუსთაველის ფონდის ეგიდით ჩატარებულ საგრანტო კონკურსებში.

რაც შეეხება ტრენინგების საკითხს, უნივერსიტეტი სისტემატიურად, ყოველწლიურად ატარებს ტრენინგებს სწავლების თანამედროვე მეთოდებთან და მათ სასწავლო პროცესში გამოყენებასთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანია ასევე მე-13 რეკომენდაცია, კერძოდ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, სასწავლო კურსის ავტორები, სილაბუსში შეფასების კომპონენტების და მეთოდების განსაზღვრისას რა თქმა უნდა ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას, მისი ყველა შემადგენელის გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში, შეფასების ეტაპები დაყოფილია კანონიერადებარე სამართლებრივი აქტის მოთხოვნის შესაბამისად, კერძოდ, შუალედური შეფასება მოიცავს მიმდინარე შეფასებასა და შუასემესტრულ გამოცდას, ხოლო დასკვნითი/საბოლოო შეფასება - დასკვნითი გამოცდას. ტექნიკურ უნივერსიტეტში უნიფიცირებულად დადგენილი ამ საერთო დასახელების მქონე შეფასების ეტაპების ჩარჩოში, სასწავლო კურსის ავტორ(ებ)ი თავად განსაზღვრავენ, თითოეული ეტაპის ფარგლებში შეფასებისათვის გამოსაყენებელ ოპტიმალურ კომპონენტ(ებ)ს

და მეთოდ(ებ)ს, რაც ასახულია შესაბამისი წესით დამტკიცებულ სილაბუსებში. ხოლო სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირი, სილაბუსის შესაბამისად ახორციელებს შეფასებას. გადა ამისა, აღსანიშნავია, რომ რომ შეფასების კომპონენტებისა და მეთოდების, ისევე როგორც სხვა შემადგენელის (შინაარსი, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა და ა.შ.) გაძლიერება-განახლების პროცესი სილაბუსებში, ხორციელდება მუდმივად, გამოვლენილი და/ან წარმოშობილი საჭიროების მიხედვით. გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ შეფასების შედეგების ანალიზი განხორციელებულია და შესაბამისი დოკუმენტები წარმოდგენილია სააკრედიტაციო პაკეტში. შეფასება ხორციელდებოდა ბოლო წლების განმავლობაში და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები. ეს მდგომარეობა ასახულია დასკვნის პროექტშიც. შედეგების კომპლექსური ანალიზი განხორციელდება კონკრეტული გეგმის მიხედვით შესაბამისი ციკლის პირობებში და ყოველი ციკლის ბოლოს გაიცემა შესაბამისი დასკვნა.

მნიშვნელოვანია ასევე დაწესებულების პოზიცია მე-15 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტს დანერგილი აქვს მთელი რიგი მექანიზმები: ნაშრომის შემოწმება პლაგიატზე, ნაშრომის რეცენზირება, კომისიის წინაშე ნაშრომის დაცვა. უნივერსიტეტი ეტაპობრივად ახორციელებს ღონისძიებებს ნაშრომების ხარისხის ამაღლებისათვის, ბუნებრივია, ეს არის პროცესი, რომელიც ვითარდება და საკვლევი ბაზის განვითარებასთან ერთად უზრუნველყოფს ნაშრომების დონის ზრდას.

რაც შეეხება მე-16 რეკომენდაციას, უნივერსიტეტი ეტაპობრივად ახორციელებს მოთხოვნების გაძლიერებას, როგორც სამეცნიერო ნაშრომების ასევე მეცნიერების მიმართ წაყენებული მოთხოვნების გაძლიერებას. რეკომენდაციაში ასახული რჩევა წლების განმავლობაშია რეალიზებული ტენიკურ უნივერსიტეტში და აკადემიური პერსონალის კონკურსში, გადაწყვეტილების მიღების აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს.

მე-17 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუ-ში მოქმედებს აკადემიური პერსონალის შეფასების მექანიზმი, რომელიც რა თქმა უნდა ითვალისწინებს რეკომენდაციაში ასახულ ყველა მოცემულობას. აქვე აღვნიშნავთ, რომ თავად უნივერსიტეტს აქვს იდენტიფიცირებული შეფასების მექანიზმის ეფექტიანობის ზრდის აუცილებლობა და ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა აკადემიური პერსონალის შეფასების მექანიზმის მოდერნიზების მიმართულებით, რაც უნივერსიტეტში დღეს მიმდინარე სიახლეების დანერგვის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

მე-18 და მე-19 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ აღნიშნული საჭიროება საკმაოდ ნათლად იქნა დაფიქსირებული განაცხადის წარდგენისას თვითშეფასების დოკუმენტში. აქვე ვადასტურებთ, რომ არსებული მდგომარეობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას და სწავლის შედეგის მიღწევას. უნდა აღვნიშნოთ, რომ ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე, ბოლო პერიოდში უწყვეტად ხორციელდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

მნიშვნელოვანია ასევე ბიუჯეტთან არსებული რეკომენდაცია, კერძოდ უნივერსიტეტი სრულად ეთანხმება რეკომენდაციას იმ თვალსაზრისით, რომ პროგრამის ბიუჯეტის წარმოდგენილი ფორმა არ იძლეოდა ნათელ ინფორმაციას ყველა მიმართულების ფინანსური უზრუნველყოფის ნათლად აღწერისათვის, ასევე, ფინანსური რესურსის წყაროების მითითებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ფინანსური დოკუმენტის ითვალისწინებს და სრულად უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასა და მასში შემავალის როგორც სასწავლო, ისე კვლევითი კომპონენტის გაძლიერება-განვითარებას.

რაც შეეხება მე-21 რეკომენდაციას, უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის მოქნილი სისტემა და აღწერს ყველა იმ ელემენტს, რომელიც მონაწილეობს უნივერსიტეტის ხარისხის გაუმჯობესების პროცესში. იგი უნივერსიტეტის

მართვის პროცესის შემადგენელი ელემენტების: დაგეგმვის, ორგანიზების და მონიტორინგის განუყოფელი ნაწილია. სისტემა მოქმედებს უნივერსიტეტის მისიის, პოლიტიკის, სამართლებრივი და სხვა ვალდებულებების კონტექსტში, ეყრდნობა ძირითად პრინციპებსა და სტანდარტებს, რითიც ხელმძღვანელობს უნივერსიტეტი თავის საქმიანობაში. კონკრეტული მაჩვენებლების შინაარსობრივი და ფორმალური გაუმჯობესებისათვის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები მუდმივ მზადყოფნაშია მოახდინოს სწრაფი რეაგირება.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ აღნიშნა, რომ 2.3, 2.4, და 2.5 კომპონენტები ექსპერტების მიერ შეფასებულია როგორც ნაწილობრივ შესაბამისი. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრმა დააზუსტა საჭიროებს თუ არა პროგრამა ისეთ ძირეულ და მნიშვნელოვან ცვლილებებს რომლის განხორციელებაც ვერ მოხერხდება ერთი წლის განმავლობაში.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ ნაშრომები იყო არაერთგვაროვანი, შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა მოცემული გამოწვეული იყო თუ არა მიმართულებების გამო და იმყოფებიან თუ არა სხვადასხვა მიმართულების სტუდენტები არათანაბარ მდგომარეობაში.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის მიხედვით 30 კრედიტი განკუთვნილია ნაშრომის დასრულებისა და დაცვისთვის და მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა პროგრამის ერთ-ერთი სწავლის შედეგი, კერძოდ: „აყალიბებს ლიტერატურულ ანალიზს ან/და ექსპერიმენტით მიღებულ შედეგებს და საანალიზოდ წარმოდგენილი ნივთიერებების დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა მოიცავს თუ არა ყველა ნაშრომი ექსპერიმენტს, თუ აღნიშნული კონცენტრაციების მიხედვით არის განსაზღვრული.

საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა რამდენად თანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან ის სტუდენტები, რომლებიც პარტნიორთა ბაზების ფარგლებში ახორციელებენ კვლევას და ისინი, რომლებიც თავად ტექნიკური უნივერსიტეტის ფარგლებში იკვლევენ საკითხს.

საბჭოს წევრმა, ეკატერინა ნაცვლიშვილმა აღნიშნა „სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტის“ სასწავლო კურსი, რომელიც არის სავალდებულო საგანი და არ აქვს პრე რეკვიზიტი. სასწავლო კურსში გაწერილია საკმაოდ საინტერესო სწავლის შედეგები, თუმცა სავარაუდოა რამდენად გავა სტუდენტი მოცემულ სწავლის შედეგებზე. შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რა აუცილებელი იყო ქიმიის პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსის გათვალისწინება და როგორ არის შესაძლებელი სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ ისაუბრა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ კვლევის მიხედვით გამოიკითხა 10 რესპოდენტი, შესაბამისად დაინტერესდა თუ რამდენად რელევანტურია 10 ადამიანის გამოკითხვა. გარდა ამისა კვლევაში არ არის მითითებული თუ რომელ სტრუქტურებსა და ორგანიზაციებს წარმოდგენენ რესპოდენტები. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის ბიუჯეტი არ არის სრულყოფილი.

საბჭოს წევრმა ასევე გამოყო „სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტის“ სასწავლო კურსი და განმარტა, რომ მასში მოცემული რიგი საკითხები არ არის რელევანტური სამაგისტრო დონესთან.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ დაზუსტა თუ რა დრო არის საჭირო ექსპერტთა მიერ განსაზღვრული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და შესაბამისი ცვლილებების განსახორციელებლად.

### **სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა სტრუქტურასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ იგი აუცილებლად საჭიროებს ცვლილებას. კონცენტრაციების დახვეწით შესაძლებელია

ხარვეზების სრულად ან ნაწილობრივ გამოსწორება ერთი წლის ვადაში. ხოლო რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომებს, გარკვეული მიმართულებით უფრო დიდი მხარდაჭერა არის პარტნიორი ინსტიტუტებისგან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა „სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტის“ სასწავლო კურსის შესახებ და აღნიშნა, რომ ექსპერტებს ამ მიმართულებით ასევე განსაზღვრული აქვთ რეკომენდაცია.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნა საკმაოდ ობიექტურია და მოცემული მნიშვნელოვანი მიგნებები. შესაბამისად, რიგ საკითხები საჭიროებენ დახვეწასა და ცვლილებას.

აღსანიშნავია, რომ რესურსებთან დაკავშირებით დაწესებულებას არ აქვს მძიმე მდგომარეობა, თუმცა არსებობდა პროგრამისთვის ბევრი ხელმშემშლელი ფაქტორი.

რაც შეეხება 30 კრედიტს, მოცემულ შემთხვევაში საუბარა შესრულებასა და დაცვაზე სტუდენტი 30 კრედიტის განმავლობაში მუშაობს სამაგისტრო ნაშრომზე და საბოლოოდ ასრულებს და იცავს მას იმ პროცედურებით რაც გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ.

მნიშვნელოვანია ასევე „სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტის“ სასწავლო კურსის საკითხი. ინსტიტუცია ამ კუთხით იზიარებს საბჭოს წევრთა მიგნებებსა და რჩევებს. შესაბამისად მოხდება აუცილებელი ცვლილებების გათვალისწინება.

რაც შეეხება შრომის ბაზრის კვლევას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გამოკითხულთა ვინაობის არ დაკონკრეტება არ არის მიღებული ფორმა და წარმოადგენს შეცდომას დაწესებულების მხრიდან. აღნიშნული არ იძლევა ვალიდური შეფასების შესაძლებლობას.

ბიუჯეტის საკითხთან დაკავშირებით ინსტიტუციის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოცემულ პროგრამას სხვა პროგრამებთან შედარებით სჭირდება განსაკუთრებით დიდი რაოდენობის ფინანსური უზრუნველყოფა. რა თქმა უნდა ცალკე აღებული ბიუჯეტი აღნიშნულ ვერ ახორციელებს და დაფინანსების ძირითადი წყარო გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტით.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ დააზუსტა თუ რა თანხაა გათვალისწინებული 2021 წელს მოცემული პროგრამისთვის, რომ შესაძლებელი იყოს აუცილებელი ტექნიკური მოწყობილობის შეძენა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელს წარდგენილი აქვს კონკრეტული ჩამონათვალი იმ ხელსაწყო-დანადგარებისა, რაც საჭიროა პროგრამის ფარგლებში. ფაკულტეტის საბჭომ აღნიშნულთან დაკავშირებით იმსჯელა და თხოვნით მიმართა აკადემიურ საბჭოს. დაწესებულება მუდმივად გეგმავს ბაზებისა და ლაბორატორიების დახვეწას და შესაბამისობას პროგრამასთან.

საბჭოს წევრმა გიორგი ლაღანიძემ აღნიშნა, რომ პროგრამის წლევანდელ ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული დანადგარების შეძენა, არც ის არის ცნობილი იქნება თუ არა აღნიშნული გათვალისწინებული შემდეგი წლის ბიუჯეტში, შესაბამისად რთულია ვადებზე საუბარი.

ექსპერტმა დაადასტურა, რომ 2 წლის წინ ვიზიტისას ფიზიკური ქიმიის ლაბორატორია იყო ახალ გარემონტებული და შესაბამისად იყო ახალი ხელსაწყო-დანადგარებიც. შემდეგ კი დაწესებულებას გადაეცა სან დიეგოს ბაზა. თუმცა მოწყობილობების თვალსაზრისით პროგრამა დღესაც საჭიროებს აუცილებელ გაუმჯობესებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუციას გადმოეცა ხელსაწყო ლაბორატორიაში მუშაობის მიზნებისთვის. გარდა ამისა, დაწესებულებას აქვს შესანიშნავი ანალიზური ხელსაწყო, რომელიც საკმაოდ წარმატებულად მუშაობს არა მარტო მაგისტრატებისთვის, არამედ დოქტორენტებისა და ბაკალავრებისთვისაც.

პროგრამის ხელმძღვანელმა ნაშრომებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ყველა მათგანი მოითხოვს ექსპერიმენტულ კვლევას.

მნიშვნელოვანია, მატერიალური საკითხების მოწესრიგება ინსტიტუციის ფინანსების გათვალისწინებით ერთ წელიწადში არის შესაძლებელი. აუცილებელი ცვლილების განხორციელება სასწავლო კურსებთან და ზოგადად პროგრამასთან მიმართებით კი შესაძლებელია 6 თვის განმავლობაში.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 21:40**

**დასრულების დრო: 21:56**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - "ქიმიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის ორწლიანი პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

**საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მოსაზრება და დამატა შემდეგი რეკომენდაციები:**

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები და მიზნები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
2. სასწავლო კურსში „სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი“ განისაზღვროს კურსის წინაპირობა, დაზუსტდეს კურსის სწავლის შედეგები შინაარსის შესაბამისად.
3. განისაზღვროს პროგრამის განვითარებისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსები, მისი წყაროს მითითებით (ფაკულტეტის ბიუჯეტი, დაწესებულების ბიუჯეტი), მათ შორის სამაგისტრო კვლევების გაუმჯობესებისათვის განკუთვნილი ბიუჯეტი.

**აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:**

1. პროგრამის მიზნები უფრო რეალისტური და მიღწევადი უნდა გახდეს და შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის შინაარსთან.
2. გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგების და შინაარსის თავსებადობა;
3. განისაზღვროს სწავლის შედეგები თითოეული კონცენტრაციისთვის;
4. განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის.
5. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები და მიზნები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
6. გადაიხედოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უცხო ენის (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული) B2 დონეზე ცოდნასთან დაკავშირებით და განისაზღვროს ის პროგრამის საჭიროების გათვალისწინებით.
7. პროგრამას დაემატოს ლაბორატორიული მეცადინეობების ან პრაქტიკული/ლაბორატორიული კვლევითი პროექტები ორგანული და ფიზიკური ქიმიის კონცენტრაციების მიმართულებებით;
8. პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა მოდერნიზება გაუკეთოს პროგრამის სტრუქტურას და შინაარსს, შეაჯეროს და მოახდინოს საერთო სასწავლო კურსების და არჩევითი კონცენტრაციების კურსების სწორად გადანაწილება, პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად;
9. კვლევითი კომპონენტისათვის - სამაგისტრო ნაშრომი, განისაზღვროს დაშვების წინაპირობა;

10. პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებელმა პერსონალმა გადახედოს სასწავლო კურსების სილაბუსებს და გაასწოროს საკითხების გადაფარვები სხვადასხვა სასწავლო კურსებში.
11. გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები და შეუსაბამოს კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს: სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი, ორგანულ ნივთიერებათა ანალიზი, ელემენტორგანულ ნივთიერებათა ქიმია, ჰეტეროციკლურ ნაერთთა ქიმია, ნახევარპროდუქტების ქიმია, ინსტრუმენტული ანალიზი მაგისტრანტებისათვის.
12. სასწავლო კურსში „ სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი“ განისაზღვროს კურსის წინაპირობა, დაზუსტდეს კურსის სწავლის შედეგები შინაარსის შესაბამისად.
13. სტუდენტების პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარების მიზნით, პროგრამაში გაიზარდოს ლაბორატორიული მეცადინეობების წილი, დაიგეგმოს კურსულუმს გარეთ შესაბამისი აქტივობები.;
14. უნივერსიტეტმა დაგეგმოს და განახორციელოს ტრენინგები აკადემიური პერსონალის სწავლების თანამედროვე მეთოდებთან და მათ სასწავლო პროცესში გამოყენებასთან დაკავშირებით;
15. პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტების და მეთოდების განსაზღვრისას, გაითვალისწინოს კურსის სპეციფიკა, სწავლის შედეგები და შინაარსი;
16. განხორციელდეს შეფასების შედეგების კომპლექსური ანალიზი და შემუშავდეს გაუმჯობესების რეალური მექანიზმები;
17. სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და დანერგოს ხარისხის კონტროლის ეფექტური მექანიზმები;
18. აკადემიური პერსონალისადმი წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, დაემატოს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ასახული პუბლიკაციები (Scopus და Web of Science). კომპონენტი;
19. დაიხვეწოს აკადემიური პერსონალის აკადემიურ, სამეცნიერო-კვლევითი და სტუდენტების მნიშვნელოვან საქმიანობაში მიღწეული შედეგების შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებულ იქნება თანამედროვე გამოწვევები და შესაბამისად შეფასდება IF მქონდე ჟურნალებში პუბლიკაციები, დარგის მნიშვნელოვან და აღიარებულ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა, საერთაშორისო პატენტები და საერთაშორისო თანამშრომლობები;
20. გაუმჯობესდეს სტუ-ს II კორპუსში განთავსებული ლაბორატორიების (პროგრამის ძირითადი ბაზა) მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
21. დაწესებულებამ შეიმუშაოს მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების კონკრეტული გეგმა, შესაბამისი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის მითითებით;
22. განისაზღვროს პროგრამის განვითარებისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსები, მისი წყაროს მითითებით (ფაკულტეტის ბიუჯეტი, დაწესებულების ბიუჯეტი), მათ შორის სამაგისტრო კვლევების გაუმჯობესებისათვის განკუთვნილი ბიუჯეტი;
23. პროგრამის შიდა შეფასებისას, გამოიყენეთ კომპლექსური მიდგომები PDCA ციკლის ყველა ეტაპზე, რათა სწორად იქნას იდენტიფიცირებული პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, თითოეულ სტანდარტთან მიმართებაში;
24. პროგრამის შემდგომ განვითარების მიზნით, მნიშვნელოვანია გარე შეფასების სისტემის გაუმჯობესება, მრავალფეროვანი მიდგომების გამოყენებით;
25. პერიოდულად მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგ პროგრამებთან, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით;

**რჩევები ფორმულირდა შემდეგი სახით:**

1. სასურველია, განისაზღვროს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით პროგრამის მიზნები, უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის შესაბამისად და შემუშავდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა
2. სასურველია, პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა მიიღოს მეტი მხარდაჭერა სწავლების შედეგების ფორმირების, გაზომვის და ანალიზის მიმართულებით;
3. სასურველია დაწესებულებამ შეიმუშაოს რეგულაცია უცხო ენის გასაუბრების ფორმატთან დაკავშირებით;
4. გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის საკონტაქტო საათების რაოდენობა: სინთეზური საღებრების ქიმია, მექანიზმები ორგანულ ქიმიაში, ორგანულ ნივთიერებათა ანალიზი;
5. სასურველია, გაიზარდოს სტუდენტების სამეცნიერო საგრანტო პროექტებში ჩართულობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე;
6. სტუდენტების საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში მონაწილეობის გაზრდის მიზნით, სასურველია გაუმჯობესდეს სტუდენტების ხელშემწყობი მექანიზმები;
7. სასურველია, უნივერსიტეტმა სტუდენტებისთვის უზრუნველყოს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით სარგებლობისთვის საჭირო ტრენინგების ჩატარება;
8. სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ისეთ ქიმიურ საძიებო სისტემებზე წვდომის შესყიდვა, როგორებიცაა SciFinder ან Reaxys;
9. პროგრამის განხორციელებაში მოიწვიეთ და ჩართეთ ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც ფლობენ დარგის შესაბამის ცოდნას და აქვთ მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება, ასევე უნივერსიტეტის ფარგლებში მოღვაწე სპეციალისტები, რომლებიც ამ ეტაპზე არ არიან ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
10. სასურველია უნივერსიტეტმა დაგეგმოს პერსონალის განვითარების ხელშემწყობის აქტივობები. მათ შორის, სამეცნიერო აქტივობების დაფინანსების გაზრდის მიმართულებით;
11. მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით, სასურველია იწ და უიხილული სპექტროფოტომეტრების შესყიდვა უახლოეს მომავალში;
12. სასურველია პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა და თვითშეფასების ჯგუფმა გაასწოროს ტექნიკური შეცდომები, როგორც პროგრამაში, ისე თვითშეფასების ანგარიშში.

### გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3<sup>2</sup> პუნქტი, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის და 3<sup>2</sup> პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო იმნაძე.

**5. მეხუთე საკითხი:** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - "ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, გადაწყვეტილება N193, 07.11.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერებათა მაგისტრი ელექტრულ და ელექტრონულ ინჟინერიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ინჟინერია და საინჟინრო საქმე - არაკლასიფიცირებული, 0719
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის გამზ. 3, 0179 თბილისი, საქართველო (თსუ მე-2 კორპუსი); თამარაშვილი 6, 0186, თსუ ელექტრონული ინჟინერიის ფიზიკის ინსტიტუტი; უნივერსიტეტის ქ. 13, თბილისი, თსუ XI, კორპუსი, 0177, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ კი

თვითაცილება განაცხადა - ნინო ინასარიძემ, ნინო ჭალაგანიძემ, გიორგი ლაღანიძემ, მარიამ შენგელიამ და თეონა მატარაძემ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

**აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნის ფუნქცია დაეკისრა მაკა კაჭარავას.**

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

### **მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა**

#### **ექსპერტების პოზიციის განხილვა**

#### **სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ 2021 წლის 16 და 17 მარტს განხორციელდა აკრედიტაციის ჰიბრიდული ვიზიტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ონლაინ ვიზიტის ფარგლებში მოხდა აგრეთვე პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება (სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები). ვიზიტის დასასრულს საექსპერტო ჯგუფს გამოეყო სამუშაო დრო ვიზიტის მსვლელობისას გამოვლენილი ძირითადი მიგნებების ჩამოსაყალიბებლად და დაწესებულების წარმომადგენლებისათვის გასაცნობად.

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია თსუ-ს და მისი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიასთან. პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, სათანადო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებას. პროგრამა გაზიარებულია მასში ჩართული პირების მიერ, არის საჯარო და ხელმისაწვდომი ფაკულტეტის ვებ-გვერდის საშუალებით. 4 პროგრესზე ორიენტირებული, დარგობრივი ცოდნით, ანალიტიკური და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილი ელექტრონული და ელექტრონულ ინჟინერიაში მეცნიერების მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტები დასაქმებას შეძლებენ სამეცნიერო კვლევით და საპროექტო ცენტრებში, მაღალტექნოლოგიურ ინდუსტრიაში, ელექტრონიკისა ელექტრონული ტექნიკის მწარმოებელ და მომსახურე კომპანიებში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და სხვა.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - "ელექტრონული და ელექტრონული ინჟინერიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

**პირველი სტანდარტი** \_ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეორე სტანდარტი** \_ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მესამე სტანდარტი** \_ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეოთხე სტანდარტი** \_ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეხუთე სტანდარტი** \_ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**

1. პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება, ზოგირთი საგნის სწავლებისას და სტუდენტთა პრაქტიკული უნარების უკეთ განვითარების მიზნით მიზანშეწონილია სწავლებაში პრაქტიკული გამოცდილების ინჟინრის კვალიფიკაციის მქონე მეცნიერთა ჩართვა;
2. სტუდენტთა პროექტების დაფინანსების სისტემის მოგვარება, დაფინანსების პროცესისა და წესის გამარტივება.

### **სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

რაც სტუდენტური პროექტების დაფინანსების საკითხს, 2017 წლიდან თსუ-ში შექმნილია სტუდენტური პროექტების დაფინანსების საბჭო, რომელიც თსუ-ში სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის საფუძველზე აფინანსებს სტუდენტების მიერ წარდგენილ როგორც სპორტულ და კულტურულ-შემოქმედებით, ისე სამეცნიერო-კვლევით პროექტებს. (თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 29 იანვრის N12/02-01 ბრძანება „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“; თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 20 თებერვლის N33/02-01 ბრძანება „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“). ყოველწლიურად სტუდენტურ პროექტებზე თსუ-ის ბიუჯეტიდან გამოიყოფა დაახლოებით 800 000 ლარი. სტუდენტური პროექტების ფარგლებში საკმაოდ ბევრი სტუდენტური პროექტი ფინანსდება (დაახლოებით 200-250 პროექტი), მათ შორის ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის პროგრამების სტუდენტებსაც მიღებული აქვთ შესაბამისი დაფინანსება. ბუნებრივია, საპროექტო განაცხადებზე დაფუძნებული დაფინანსება გულისხმობს კონკურსს, შედეგად კი ყველა პროექტი ვერ ფინანსდება. ამავდროულად, კონკრეტული პროექტის განხორციელებისას, შესაძლოა იყოს გარკვეული შეფერხებები, განსაკუთრებით შესყიდვების კანონმდებლობიდან გამომდინარე, რაც უნივერსიტეტის რეგულაციებით ვერ მოიხსნება, მით უმეტეს, ვერანაირად ვერ დაუკავშირდება საგანმანათლებლო პროგრამას.

პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამაში ჩართული არიან ფიზიკის, რადიო-ფიზიკის დარგების მაღალი კვალიფიკაციის მქონე, აქტიური მეცნიერები. მათ აქვთ შესაბამისი გამოცდილება ელექტრულ და ელექტრონული ინჟინერიის დარგში, რაზეც უთითებს საერთაშორისო და ადგილობრივი საინჟინრო კვლევით პროექტებში მონაწილეობის მრავალწლიანი გამოცდილება. ხაზი უნდა გაუუსვათ იმ გარემოებასაც, რომ კონკრეტული სპეციალისტის დარგში კომპეტენცია არ განისაზღვრება მხოლოდ უშუალოდ დარგის შესაბამისი სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის არსებობით, არამედ მისი კონკრეტულ დარგში მუშაობის გამოცდილებით და მაღალრეიტინგული პუბლიკაციების გამოქვეყნებით. კონკრეტულად ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის აკადემიური ხარისხი საქართველოში დამკვიდრებული იქნა ჩვენი პროგრამის მიერ და ამ აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალი ადრე ვერ იარსებებდა. ჩვენი პერსონალის უდიდეს ნაწილს გააჩნია სამეცნიერო/აკადემიური ხარისხი რადიოფიზიკის დარგში, რაც ფორმალურადაც და შინაარსობრივადაც ძალიან ახლოსაა ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დარგთან, ამავდროულად ჩვენი პერსონალის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციები, რომლებიც ინდექსირებულია SCOPUS და Web of SCIENCE ბაზებში ამავე ბაზების მიერ კლასიფიცირებულია ზუსტად საინჟინრო მიმართულებით. პუბლიკაციები ასევე მიუთითებენ მათ პრაქტიკულ საინჟინრო გამოცდილებასაც, ვინაიდან ისინი დაფუძნებულია როგორც თეორიულ, ასევე რიცხვით და რეალურ ექსპერიმენტებზე. ამავდროულად პროგრამის განმახორციელებელი პერსონალიდან 5-ს გავლილი აქვს ტრენინგი სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში (რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატებით) და ჩართულნი არიან სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველოს სასწავლო პროცესში ელექტრული და

კომპიუტერული ინჟინერიის მიმართულებით, რაც მათი მაღალი საინჟინრო კვალიფიკაციის დადასტურებაა. აქვე ცალკე აღვნიშნავთ რომ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაში ჩართულია დოქტორი რომან ჯობავა, რომელსაც პირადად აქვს უზარმაზარი პრაქტიკული საინჟინრო გამოცდილება ისეთ ცნობილ კომპანიებთან ურთიერთობაში, როგორებიცაა Audi, Volkswagen, Chrysler, Renault, Peugeot. სამაგისტრო პროგრამაში გათვალისწინებულია 15 კრედიტიანი კომპონენტი „ინდუსტრიული პრაქტიკა“, რომლის ფარგლებში მაგისტრატურის სტუდენტები გადაიან პრაქტიკას დარგის შესაბამის კომპანიებში (მაგალითად EMCoS), სადაც მათ აქვთ ურთიერთობა ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის, საინჟინრო ფიზიკის, კომპიუტერული მეცნიერების დარგებში მოღვაწე სპეციალისტებთან.

### **სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზაბრაშვილმა აღნიშნა, რომ ძირითად სათაურთან ერთად, ნაშრომებში ასევე მოცემული იყო ინგლისური სათაურიც. თავად ტექსტშიც არის მოცემული გარკვეული ინგლისურ ენოვანი ცხრილები თუ ნახაზები, შესაბამისად, საბჭოს წევრმა განმარტა, რომ ის რისი განსაზღვრა ქართულად შეიძლება ნაშრომის ფარგლებში უნდა იყოს მოცემული ქართულად. გამომდინარე იქიდან, რომ თავად ნაშრომი შესრულებულია ქართულ ენაზე.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ დააზუსტა, რომ როდესაც სტუდენტი იწყებს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას და ხელმძღვანელთან ერთად არჩევს თემატიკას, ითვალისწინებს თუ არა ფაკულტეტი ნაშრომის ხარჯებს.

საბჭოს წევრმა, დავით კაპანაძემ აღნიშნა, რომ სასწავლო კურსების მითითებულია რუსულიენოვანი ლიტერატურა. ასევე საბჭოს წევრა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს პროგრამაზე დასვების წინაპირობების განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დააზუსტა თუ რამდენად ეთანხმებიან ექსპერტების მათ მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე დაწესებულების პოზიციას.

საბჭოს წევრმა ნინო იმნაძემ ასევე აღნიშნა, ლიტერატურის საკითხი და განმარტა, რომ სილაბუსებში მოცემულია საკმაოდ მოძველებული ლიტერატურა. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა თუ როგორ ხდება ინოვაციურ შედეგებზე გასვლა მოცემული ლიტერატურით. საბჭოს წევმა ასევე აღნიშნა, რომ 2015 წლის შემდგომ მოცემულია მხოლოს 2 სადისერტაციო ნაშრომი და დაინტერესდა იყო თუ არა 2 ნაშრომზე მტი დაცული პროგრამის ფარგლებში.

სხდომის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული 15 კრედიტი არჩევითი კურსებისთვის აქედან 5 კი სხვა პროგრამის საგნებისთვის. წარმოდგენლ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული აღნიშნული საგნების ჩამონათვალი, შესაბამისად საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის დაზუსტებისკენ.

საბჭოს წევრმა გაიოზ ფარცხალაძემ აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომებში ნაკლებად ვხვდებით რიცხვით მაგალითებს და მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს თავად პროგრამის სტრუქტურის განმარტებისკენ.

### **სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პროგრამა დაფუძნებულია მოდელირებაზე. აღნიშნული წარმოდგენს საინჟინრო მოდელირების ნაწილს. როგორც სამუშაო, ასევე სწავლების დიდი ნაწილი არის ციფრული. შესაბამისად ექსპერტთა რეკომენდაცია გულისხმობდა რეალური ექსპერიმენტების რაოდენობის გაზრდას, რომელშიც ჩართულია რეალური ელექტრონიკა.

რაც შეეხება ავტომატიზაციის სწავლების საკითხს, აღნიშნული სტუდენტს უნდა მიეწოდოს ზოგადი სახით, ხოლო შემდგომ შესაძლებელია კერძო ნაწილზე გადასვლა. მხოლოდ კერძო ნაწილის მიხედვით მიწოდებული ცოდნა კი არ არის საკმარისი.

### **სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტების რეკომენდაცია შეეხებოდა პროექტებს, რომლებსაც რეალურად აკეთებს სტუდენტი, ხოლო უნივერსიტეტში არსებობს აღნიშნულის რესურსი. თუმცა, თუ სტუდენტს, ან სტუდენტთა ჯგუფს უნდა სხვა ტიპის კვლევისა თუ პროექტის გაკეთება, ინსტიტუციაში ამისთვის გათვალისწინებულია დამოუკიდებელი ფინანსები, რომლის გაცემაც ხდება კონკურსის საფუძველზე. აღნიშნული არ ეხება სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას.

პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა ლიტერატურასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ზოგიერთი სახელმძღვანელო შეიძლება მოძველებული იყოს, თუმცა აღნიშნული ტენდენცია არ გვხვდება ყველა სილაბუსში. თუმცა არის სახელმძღვანელოები, რომლებიც კონკრეტული საკითხების საფუძველს წარმოადგენენ.

რაც შეეხება ნაშრომებში ინგლისურენოვან ტერმინოლოგიას, სამწუხაროდ კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით არ არსებობს ქართულენოვანი ტერმინოლოგია.

მნიშვნელოვანია ასევე რიცხვითი ექსპერიმენტების საკითხი, პროგრამის ფარგლებში ხშირად ხორციელდება რიცხვითი ექსპერიმენტები, თუმცა ასევე ხორციელდება რეალური ექსპერიმენტებიც. შესაბამისად, საკითხთან მიმართებით დაწესებულება ექსპერტებს არ ეთანხმება.

რაც შეეხება ავტომატიზაციას, მნიშვნელოვანია, რომ სადოქტორო პროგრამა ვერ იქნება ყველა საკითხზე აქცენტირებული. შესაბამისად, აღებულია ის მიმართულებები, რაშიც დაწესებულება ძლიერია.

## **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 23:00**

**დასრულების დრო: 23:34**

**სსხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - "ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

## **აკრედიტაციის საბჭომ ამოიღო შემდეგი რეკომენდაციები:**

1. აუცილებელია სტუდენტთა პროექტების დაფინანსების სისტემის მოგვარება, დაფინანსების პროცესისა და წესის გამარტივება.

## **ზოგიერთი რეკომენდაცია გადავიდა რჩევაში და საბოლოო სახით რჩევები ფორმულირდა შემდეგნაირად:**

1. დამსაქმებლებისა და სტუდენტების მოთხოვნიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ავტომატიზაციის მეტი დოზით და FPGA ელექტრონიკის გარკვეული დოზით სწავლება;
2. გასაძლიერებელია პრაქტიკის კომპონენტი, ზოგიერთი საგნის სწავლებისას და სტუდენტთა პრაქტიკული უნარებისა და ინჟინრული ხედვის უკეთ განვითარების მიზნით მიზანშეწონილია სწავლებაში პრაქტიკული გამოცდილების ინჟინრის კვალიფიკაციის მქონე მეცნიერთა ჩართვა;
3. სტუდენტთა კვლევითი უნარების უკეთ განვითარების მიზნით მიზანშეწონილია სხვადასხვა თეორიული დისციპლინების შემჭიდროების ხარჯზე გაძლიერდეს ემპირიული კვლევის მეთოდოლოგიის სწავლება;
4. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება მოხდეს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით;
5. საჭიროა სტუდენტების მეტი ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით პროექტებში;

**გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3<sup>1</sup> პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3<sup>1</sup> პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა სრული აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

**6. მეექვსე საკითხი:** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - "ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, გადაწყვეტილება N201, 07.11.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ინჟინერია და საინჟინრო საქმე - არაკლასიფიცირებული, 0719
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	35
14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის გამზ. 3, 0179 თბილისი, საქართველო (თსუ მე-2 კორპუსი); თამარაშვილი 6, 0186, თსუ ელევთერ

		ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი; უნივერსიტეტის ქ. 13, თბილისი, თსუ XI, კორპუსი, 0177, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ კი

თვითაცილება განაცხადა - ნინო ინასარიძემ, ნინო ჭალაგანიძემ, გიორგი ღაღანიძემ, მარიამ შენგელიამ და თეონა მატარაძემ.

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ 2021 წლის 16 და 17 მარტს განხორციელდა აკრედიტაციის ჰიბრიდული ვიზიტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ონლაინ ვიზიტის ფარგლებში მოხდა აგრეთვე პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება (სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები). ვიზიტის დასასრულს საექსპერტო ჯგუფს გამოეყო სამუშაო დრო ვიზიტის მსვლელობისას გამოვლენილი ძირითადი მიგნებების ჩამოსაყალიბებლად და დაწესებულების წარმომადგენლებისათვის გასაცნობად.

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია თსუ-ს და მისი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიასთან. პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, სათანადო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებას. პროგრამა გაზიარებულია მასში ჩართული პირების მიერ, არის საჯარო და ხელმისაწვდომი ფაკულტეტის ვებ-გვერდის საშუალებით. 4 პროგრესზე ორიენტირებული, დარგობრივი ცოდნით, ანალიტიკური და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილი ელექტრულ და ელექტრონულ ინჟინერიაში მეცნიერების მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტები დასაქმებას შეძლებენ სამეცნიერო კვლევით და საპროექტო ცენტრებში, მაღალტექნოლოგიურ ინდუსტრიაში, ელექტრონიკისა ელექტრონული ტექნიკის მწარმოებელ და მომსახურე კომპანიებში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და სხვა.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - "ელექტრონიკის და ელექტრონული ინჟინერიის" სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

**პირველი სტანდარტი** – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეორე სტანდარტი** – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მესამე სტანდარტი** – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეოთხე სტანდარტი** – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**მეხუთე სტანდარტი** – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:**

1. დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების მოთხოვნით მიზანშეწონლია ავტომატიზაციის მეტი დოზით და FPGA ელექტრონიკის გარკვეული დოზით სწავლება;
2. მოსაგვარებელია სტუდენტთა პროექტების დაფინანსების სისტემა.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე და ავტომატიზაციის სწავლებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ელექტრონიკის და ელექტრონული ინჟინერიის სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებულია სავალდებულო სასწავლო კურსი „დროით არეში სასრული სხვაობების მეთოდი ელექტრომაგნიტიზმში“, რომლის მიზანია გააცნოს სტუდენტს დროით არეში სასრული სხვაობების მეთოდი და მისი გამოყენება ელექტროდინამიკაში სხვადასხვა ამოცანების ამოსახნელად, ასევე საჭირო ალგორითმები მოცემული მეთოდის პროგრამული იმპლემენტაციისათვის და მიღებული შედეგების ვიზუალიზაციისათვის. ამ კურსისთვის შექმნილია პროგრამული პაკეტი მომხმარებლისთვის მოსახერხებელი ინტერფეისით, რომელიც ავტომატურ რეჟიმში უზრუნველყოფს დასმული ელექტროდინამიკური ამოცანის ამოხსნას (შესაბამისი საწყისი პარამეტრების მიწოდების შემდგომ, როგორცაა გეომეტრია, გარემოს ელექტრომაგნიტური მახასიათებლები, წყარო და სიხშირე) და შედეგების ვიზუალიზაციას (ახლო და შორი ველები, შთანთქმის კუთრი სიჩქარე, ტემპერატურის ცვლილება სითბური ამოცანისას). კურსის ფარგლებში ხდება პროგრამული პაკეტის სრულად ათვისება და პრაქტიკული ამოცანების ამოხსნა მისი გამოყენებით სრულად ავტომატიზებულ რეჟიმში. სავალდებულო სასწავლო კურსის „მეცნიერების მენეჯმენტი“ ფარგლებში ასევე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის მართვის სისტემებს და ბიბლიომეტრიულ ბაზებთან (SCOPUS, Web of SCIENCE) მუშაობის პრინციპების შესწავლას. ცნობილია, რომ ხსენებული ბაზები თავის მხრივ ინფორმაციის დამუშავების ავტომატიზაციის სამაგალითო ნიმუშებს წარმოადგენენ. რაც შეეხება FPGA ელექტრონიკის სწავლებას, ხაზი უნდა გაუფხვრათ, რომ იგი უკვე წარმოდგენილია ელექტრონიკის და ელექტრონული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამაში სასწავლო კურსის „ციფრული სისტემების დიზაინი“ ფარგლებში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონიკის და ელექტრონული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამას მიღებული აქვს ABET საერთაშორისო აკრედიტაცია.

რაც სტუდენტური პროექტების დაფინანსების საკითხს, 2017 წლიდან თსუ-ში შექმნილია სტუდენტური პროექტების დაფინანსების საბჭო, რომელიც თსუ-ში სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის საფუძველზე აფინანსებს სტუდენტების მიერ წარდგენილ როგორც

სპორტულ და კულტურულ-შემოქმედებით, ისე სამეცნიერო-კვლევით პროექტებს. (თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 29 იანვრის N12/02-01 ბრძანება „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“; თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 20 თებერვლის N33/02-01 ბრძანება „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“). ყოველწლიურად სტუდენტურ პროექტებზე თსუ-ის ბიუჯეტიდან გამოიყოფა დაახლოებით 800 000 ლარი. სტუდენტური პროექტების ფარგლებში საკმაოდ ბევრი სტუდენტური პროექტი ფინანსდება (დაახლოებით 200-250 პროექტი), მათ შორის ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის პროგრამების სტუდენტებსაც მიღებული აქვთ შესაბამისი დაფინანსება. ბუნებრივია, საპროექტო განაცხადებზე დაფუძნებული დაფინანსება გულისხმობს კონკურსს, შედეგად კი ყველა პროექტი ვერ ფინანსდება. ამავდროულად, კონკრეტული პროექტის განხორციელებისას, შესაძლოა იყოს გარკვეული შეფერხებები, განსაკუთრებით შესყიდვების კანონმდებლობიდან გამომდინარე, რაც უნივერსიტეტის რეგულაციებით ვერ მოიხსნება, მით უმეტეს, ვერანაირად ვერ დაუკავშირდება საგანმანათლებლო პროგრამას.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, როგორც სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში, 2017 წლიდან თსუ-ში შექმნილია სტუდენტური პროექტების დაფინანსების საბჭო, რომელიც თსუ-ში სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის საფუძველზე აფინანსებს სტუდენტების მიერ წარდგენილ როგორც სპორტულ და კულტურულ-შემოქმედებით, ისე სამეცნიერო-კვლევით პროექტებს. (თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 29 იანვრის N12/02-01 ბრძანება „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“; თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 20 თებერვლის N33/02-01 ბრძანება „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“) ყოველწლიურად სტუდენტურ პროექტებზე თსუ-ის ბიუჯეტიდან გამოიყოფა დაახლოებით 800 000 ლარი. სტუდენტური პროექტების ფარგლებში საკმაოდ ბევრი სტუდენტური პროექტი ფინანსდება (დაახლოებით 200-250 პროექტი), მათ შორის ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის პროგრამების სტუდენტებსაც მიღებული აქვთ შესაბამისი დაფინანსება. ბუნებრივია, საპროექტო განაცხადებზე დაფუძნებული დაფინანსება გულისხმობს კონკურსს, შედეგად კი ყველა პროექტი ვერ ფინანსდება. ამავდროულად, კონკრეტული პროექტის განხორციელებისას, შესაძლოა იყოს გარკვეული შეფერხებები, განსაკუთრებით შესყიდვების კანონმდებლობიდან გამომდინარე, რაც უნივერსიტეტის რეგულაციებით ვერ მოიხსნება, მით უმეტეს, ვერანაირად ვერ დაუკავშირდება საგანმანათლებლო პროგრამას.

### **სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, დავით კაპანაძემ აღნიშნა, რომ სასწავლო კურსების მითითებულია რუსულიენოვანი ლიტერატურა. ასევე საბჭოს წევრა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს პროგრამაზე დასვების წინაპირობების განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დააზუსტა თუ რამდენად ეთანხმებიან ექსპერტების მათ მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე დაწესებულების პოზიციას.

საბჭოს წევრმა ნინო იმნაძემ ასევე აღნიშნა, ლიტერატურის საკითხი და განმარტა, რომ სილაბუსებში მოცემულია საკმაოდ მოძველებული ლიტერატურა. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა თუ როგორ ხდება ინოვაციურ შედეგებზე გასვლა მოცემული ლიტერატურით. საბჭოს წევმა ასევე აღნიშნა, რომ 2015 წლის შემდგომ მოცემულია მხოლოს 2 სადისერტაციო ნაშრომი და დაინტერესდა იყო თუ არა 2 ნაშრომზე მტი დაცული პროგრამის ფარგლებში.

### **სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**



ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პროგრამა დაფუძნებულია მოდელირებაზე. აღნიშნული წარმოადგენს საინჟინრო მოდელირების ნაწილს. როგორც სამუშაო, ასევე სწავლების დიდი ნაწილი არის ციფრული. შესაბამისად ექსპერტთა რეკომენდაცია გულისხმობდა რეალური ექსპერიმენტების რაოდენობის გაზრდას, რომელშიც ჩართულია რეალური ელექტრონიკა.

რაც შეეხება ავტომატიზაციის სწავლების საკითხს, აღნიშნული სტუდენტს უნდა მიეწოდოს ზოგადი სახით, ხოლო შემდგომ შესაძლებელია კერძო ნაწილზე გადასვლა. მხოლოდ კერძო ნაწილის მიხედვით მიწოდებული ცოდნა კი არ არის საკმარისი.

### **სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.**

პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა ლიტერატურასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ზოგიერთი სახელმძღვანელო შეიძლება მოძველებული იყოს, თუმცა აღნიშნული ტენდენცია არ გვხვდება ყველა სილაბუსში. თუმცა არის სახელმძღვანელოები, რომლებიც კონკრეტული საკითხების საფუძველს წარმოადგენენ.

რაც შეეხება ნაშრომებში ინგლისურენოვან ტერმინოლოგიას, სამწუხაროდ კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით არ არსებობს ქართულენოვანი ტერმინოლოგია.

მნიშვნელოვანია ასევე რიცხვითი ექსპერიმენტების საკითხი, პროგრამის ფარგლებში ხშირად ხორციელდება რიცხვითი ექსპერიმენტები, თუმცა ასევე ხორციელდება რეალური ექსპერიმენტებიც. შესაბამისად, საკითხთან მიმართებით დაწესებულება ექსპერტებს არ ეთანხმება.

რაც შეეხება ავტომატიზაციას, მნიშვნელოვანია, რომ სადოქტორო პროგრამა ვერ იქნება ყველა საკითხი აქცენტირებული. შესაბამისად, აღებულია ის მიმართულებები, რაშიც დაწესებულება ძლიერია.

### **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 23:00**

**დასრულების დრო: 23:45**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - "ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის" სადოქტორო პროგრამისთვის სრული აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

**აკრედიტაციის საბჭომ ამოიღო შემდეგი რეკომენდაციები:**

1. მოსაგვარებელია სტუდენტთა პროექტების დაფინანსების სისტემა

**ზოგიერთი რეკომენდაცია გადავიდა რჩევაში და საბოლოო სახით რჩევები ფორმულირდა შემდეგნაირად:**


1. დამსაქმებლების, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების მოთხოვნით მიზანშეწონლია ავტომატიზაციის მეტი დოზით და FPGA ელექტრონიკის გარკვეული დოზით სწავლება;
2. საჭიროა გაფორმდეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი კომპანია EMCoS და უნივერსიტეტს შორის;
3. მეტი მუშაობაა საჭირო სამეცნიერო აპარატურის გამოყენებასთან დაკავშირებით;
4. საჭიროა ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობასა და პროგრამის მონიტორინგში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას მიეცეს სისტემატური ხასიათი.

**გადაწყვეტილება:**


„უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3<sup>1</sup> პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3<sup>1</sup> პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მშენებლობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა სრული აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

**დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 23:55 საათზე.**


საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო  
სხდომის თავმჯდომარე  
თიკანაშვილი ნიკა



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო  
სხდომის თავმჯდომარე  
იმნაძე ნინო



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
საბჭო  
საბჭოს მდივანი  
შენგელია მარიამ



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
საბჭო  
სხდომის მდივანი  
კაჭარავა მაკა

